ოქტომბერი
1934 წ.
№ 106

საქართველო დამოუკიდებელი

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
OCTOBRE
1934—№ 106

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

მ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—ჩვენი მტერი.
გრ. დიასამიძე—მიმართვა.
უცხოეთის პრესა.
პოლონელი ჟურნალისტი საქართველოზე.
საბჭოები-საფრანგეთი-პოლონეთი.
ნოტა ერთა ლიგის მ-15 ყრილ. თავ. სანდლერს.
ცნობა რომიდან.
სია იმ პირთა რომელთაც ხელი მოაწ. ადრესს.
მ. წულუკიძე—თამაზიანა.
ნაური—წერილი ამერიკიდან.
წერილი ვარშავიდან.
დამსწრე—წერილი სოფოდან. და სხვ.

რაიმონდ პუანკარე და ლუი ბარტუ

საფრანგეთმა ერთ კვირაში დაკარგა ორი თავისი საუკეთესო შვილი: რაიმონდ პუანკარე და ლუი ბარტუ, პირველმა, დიდი ხნით პოლიტიკურ სცენიდან ჩამოსულმა, თავის ოჯახში განუტევა სული; მეორე საგარეო მინისტრი ტყვიით განგმირეს იუგოსლავიის მეფე ალექსანდრესთან ერთათ მარსელში.

პუანკარე, რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი, მრავალჯერ თავმჯდომარეობდა მთავრობას, იყო მინისტრად კიდევ უფრო ხშირათ. უკანასკნელათ ის მოიწვიეს თავმჯდომარედ 1926 წ. ფრანკის სახსნელათ და სავსებით გაამართლა ერის იმედი.

მაგრამ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მომენტად მის მოღვაწეობისა ითვლება დიდი ომი, როცა ის რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო. ის ღირსეულათ გაუძღვა სამკვიდრ-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ ფრანგის ერს და ხელი შეუწყო მის გამარჯვებას. ამით მან იხსნა რესპუბლიკაც, რომლის უერთგულესი დამცველი დარჩა ბოლომდის. პუანკარე არ ეკუთვნოდა არც ერთ პარტიას, უანგაროთ ემსახურებოდა სამშობლოს და რესპუბლიკას, და დაიმსახურა პატივისცემა თვით პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა. მისი დაკრძალვა წარმოადგენდა გრანდიოზულ სურათს.

ქართველმა ერმა დაკარგა პუანკარეში თავისი საუკეთესო მეგობარი, რაიცა მან საქმით დაამტკიცა არა ერთხელ. ჯერ კიდევ გენუის კონფერენციის დროს, მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო მინისტრი პუანკარე აძლევს წერილობით ინსტრუქციას საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარეს ლუი ბარტუს, რომ მთელის ძალღონით შებრძოლებოდა მოსკოვის პრეტენზიას მის მიერ დაკავებულ საქართველოს წარმომადგენელად გამოსულიყო. იგივე პრეტენზია მან ჩაუფუშა მოსკოვს ლოზანის კონფერენციაზედ, სადაც მას სურდა საქართველოს ეროვნულ მთავრობის დელეგაცია დაეშვათ, მაგრამ ვერ მოხერხდა, სამწუხაროთ. ყველას ახსოვს, როგორის ენერგიით მიუგებდა მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო მინისტრი პუანკარე შემკითხველებს პალატაში: ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ მოძალადე საოკუპაციო ხელისუფლებამ დაიჭიროს კანონიერ, მის მიერ განდევნილ, ეროვნულ მთავრობის ადგილიო, ჩვენი სამინისტროს კარები ღია არის საქართველოს ელჩისათვისო... უაღრესათ განათლებული პუანკარე კარგათ იცნობდა ქართველი ერის როლს ძველს რუსეთში: მე კიდევ დამოუკიდებლობამდე ვიცნობდი თქვენს ერსო—ღიმილით უთხრა ერთხელ მან ჩვენს ელჩს.

უკანასკნელმა პირველ გაგონებაზე მიაშურა პუანკარეს სახლს, რომ მხურვალე თანაგრძნობა გამოეცხადებინა, საქართველოს სახელით, მის ოჯახობისთვის. ასევე მოიქცა ის ლუი ბარტუს ტრაგიკულათ გარდაცვლის შემდეგ. პუანკარეს კუბო გვირგვინით შეამკო, «მადლიერ ქართველ ერის» სახელით, საქართველოს მთავრობამ, და მისი თავმჯდომარე ნ. ყორდანია და ყოფილი ელჩი აკ. ჩხენკელი დაესწრენ სამგლოვიარო ცერემონიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩ ვ ე ნ ი ბ ტ ე რ ი

მოსკოვი სამზადისშია ოქტომბრის წლისთავისთვის. ბოლშევიკები 17 წელიწადი პყრობენ ხმელეთის მეექვსედს და აქვთ საბუთი საზეიმოთ მოეკაზმონ. ერთი საბუთი სულ ახალი თარიღისაა და მასზე ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა მორჩილ კალმების წრიპინი. ერთა ლიგაში ჩვენი დაშვება ნამდვილი აპოთეოზია მთელი ჩვენი მიღწევებისო—არ სცხრებიან ეს კალმები. თქმა არ უნდა, ამით ისინი გუნდრუკს უკმევენ რასაც წინეთ ყაჩაღთა ბუნაგად აცხადებდენ, მაგრამ ქაღალდი ბევრ უარესსაც ითმენს, ისე როგორც 165 მილიონი ხალხი, ბაგეზედ კლიტე დადებული, შებოჭილი, შეგინებული.

კავკასიის, უკრაინის და თურქესტანის ეროვნულ წარმომადგენელთა ნოტამ, რომელიც აქვე იბეჭდება, ფარდა ახადა ამ სტატისტიკურ მისტიფიკაციას და მოსკოვის ყენევაში მიმპატიჟებელნი, ცოტა არ იყოს, ცუდ გუნებაზე დააყენა. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ნახევარი არარუსებისაგან შესდგება და მარტო სამი დასახელებული ქვეყანა 60 მილიონ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ, ხალხს შეიცავს, მაშ რა უფლებით აცხადებენ მათ რუსებადო—კითხულობდა ნოტა.

უფლება და სამართალი არ სჭრიდა ყენევაში, მთავარ მომქმედ პირთ ამისათვის არ ეცალათ, 165 მილიონი ჯადოსნური ციფრი იყო, რომელსაც უნდა მოეხიბლა მათი გამომგზავნი ქვეყნები: შეხეთ, რა დევი შემოვიყვანეთ, როგორ გავაძლიერეთ ერთა ლიგაო—გაიძახოდენ ისინი.

გაძლიერების რა მოგახსენოთ, მაგრამ საერთაშორისო დემოკრატია საბჭოთა ლიგაში შესვლას რომ მოითხოვდა, ეს უტყუარი ფაქტია. აღსანიშნავია ამ მხრივ სოციალისტურ პარტიების და მათი ინტერნაციონალის აქტივობა, შემთხვევას არ უშვებდენ ისინი, რომ ეს კითხვა წეს-რიგში არ დაეყენებიათ და ერთსულოვანი რეზოლიუცია არ მიეღოთ. შეიძლება ითქვას, რომ სოციალისტებს ეკუთვნით საბჭოთა ყენევაში მოკალათების თაოსნობა და მრავალი წლის მათი აგიტაცია-პროპაგანდა გასულ სექტემბერს დაგვირგვინდა.

ამის შედეგი ისიც იყო, რომ ინტერნაციონალმა, მიუხედავათ მის მიერ მრავალჯერ მიღებულ რეზოლიუციებისა საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოთ, არაფერი გააკეთა ყენევაში. ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, თითქო მას უკან წაეღოს თავისი რეზოლიუციები და არ თანაუგრძნობდენ ჩვენს საქმეს. არა, მდგომარეობა ისეთივე შეიქმნა მისთვის, როგორიც თვით ერთა ლიგისთვის, რომელმაც ვერ მოახერხა ერთსა და იმავე დროს მოსკოვიც მიეღო და თავისი რეზოლუციებიც გაენაღდებინა საქართველოს მიმართ. გაიხსენეთ პაციფისტების საერთაშორისო ყრილობა ლოკარნოში სექტემბრის პირველ ნახევარში: იქაც ჯერ მოსკოვის ლიგაში შესვლა მოითხოვეს და შემდეგ საქართველოს აღდგენა. იმის მაგიერ, რომ მოსკოვისთვის ლიგაში მიღების პირობად საქართველოს ევაკუაცია მოეთხოვათ, პირველს შეეწირა მეორე. ისიც კარგი, რომ მ ო ტ ა ს გაბედულ სიტყვებზე საქართველოს სასარგებლოთ არავინ აღმოჩნდა შემდავებელი. ეს კი მოასწავებს იმას, რომ ჩვენი კითხვა შემონახულია მერმისთვის.

როცა ვლაპარაკობთ სოციალისტების როლზე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოსკოვის ყენევაში მიმწვევნი და მიმღებნი ე. წ. ბურჟუაზიული მთავრობები იყვნენ, და ამათ შორის თქვენ დაინახავთ როგორც დემოკრატიულ, ისე დიქტატორულ ქვეყნებს. ეს გარემოება ნათლათ ამტკიცებს, რომ საბჭოთა ლიგაში დაშვების მოტივი სულ სხვა იყო, ვინემ სოლიდარობა მათ პროგრამასთან ან პოლიტიკასთან.

ერთი თვეც არ გასულა ყენევის ყრილობის შემდეგ და უკვე გაისმის საერთაშორისო პრესაში უკმაყოფილება ყენევის აქტის მიმართ. დამახასიათებელია სულისკვეთება იმ ქვეყნისა, რომელიც ჩემპიონად ჩაითვლება, ჩვენ ვამბობთ საფრანგეთზე. თუ არა საფრანგეთი, მოსკოვს არ ეღირსებოდა ლიგის წევრობა და ეხლა დააკვირდით, რაზე ზრუნავს პარიზის პრესა: კიდევ რომ მოგვიხდეს გერმანიასთან დატაკება, რას მოგვიტანს საბჭოების მეგობრობაო—კითხულობს ის. ამ კითხვასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული მეორე კითხვა: როგორი იქნება ჩვენი მოკავშირე პოლონეთის როლიო და პასუხს ვერ პოულობენ.

ეს დაბნეულობა თითქო იმას მოასწავებს, რომ ეხლა უკვე გრძნობენ, თუმცა პირდაპირ ვერ გამოუთქვამთ, რომ თავიდანვე დიდი შეცდომა დაუშვეს. პოლონეთი, ეს პირველხარისხოვანი სამხედრო სახელმწიფო, ვერ დარჩებოდა კმაყოფილი, როცა მისი მოკავშირე საფრანგეთი, მასთან წინასწარ შეუთანხმებლათ, მოლაპარაკებას აწარმოებდა მოსკოვთან. როგორ შეიძლებოდა, მაგ., საბჭოთა მოკავშირედ წარმოდგენა გერმანიის წინაამდეგ, როცა მათ შორის პოლონეთი მდებარეობს? მაშ ვინც ამას სჩადიოდა ფიქრობდა, რომ პოლონეთი თავის ტერიტორიაზედ გაატარებდა წითელ ჯარებს! ამისათვის უნდა დავივიწყოთ, სულ ცოტა, პოლონეთის ორი უკანასკნელ საუკუნის ისტორია...

ამ რიგათ, რუს ემიგრანტების იმედი, რომ საფრანგეთის და საბჭოთა დაახლოება სამხედრო კავშირად იქცევა, ნაადრევია. საფრანგეთის ბევრი მოღვაწენი ამის აშკარა წინააღმდეგი არიან, მათ არ სურთ რეალური ძალა პოლონეთი დაკარგონ მოსკოვის ლამაზი თვალებისთვის. მეორეს მხრით, ჩვენ სრულიად არ ვსთვლით შეუძლებლად, რომ პოლონეთმა ითამაშოს უდიდესი როლი მოკავშირე საფრანგეთის გერმანიასთან მოსარიგებლათ, გახდეს ხიდი მათ შორის! ამ შესაძლებლობის სასარგებლოთ ლაპარაკობს სამი ძირითადი დებულება: 1) ერთა შორის განწყობილებაში შინაური რეჟიმი არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, და ეს უკვე დამტკიცდა ჟენევაში, სადაც მოსკოვის მოწვევა ერთგვარი დივერსია იყო, გერმანიის გარიყვის მიზნით გაკეთებული; 2) მეზობელთან კარგს ჩხუბს ისევ ცუდი ზავი სჯობსო—ნათქვამია: საფრანგეთს და გერმანიას სხვა გამოსავალი თითქო არ დარჩენიათ; 3) საბჭოთა კავშირის უაღრესი შეიარაღება ერთია, ხოლო მისი ჯარების მორალი მეორე, უკანასკნელს კი მას არ უქებენ.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც უკვე იქცევს შორსმჭვრეტ პოლიტიკოსების ყურადღებას და ჩქარა გახდება უთუოთ განათლებულ ქვეყნების პრაქტიკული ზრუნვის საგნად. ჩვენ ვამბობთ კომუნისტურ-სოციალისტურ საერთო ფრონტზე მოსკოვის ხელმძღვანელობით. საფრანგეთში უკვე განხორციელდა ეს ფრონტი, ეხლა იწყება კომინტერნის და მეორე ინტერნაციონალის მოლაპარაკება გაერთიანებისათვის იმავე მოსკოვის კარნახით. მართალია, მოტივად აცხადებენ ფაშიზმთან ბრძოლას, მაგრამ მოსკოვს ეგ როდი აინტერესებს,—მას სურს მსოფლიო მუშათა მოძრაობა დაუქვემდებაროს თავის გავლენას, აქციოს იგი მრისხანე იარაღად თავის ხელში იმ მთავრობების დასამხობად, რომელთაც მოსკოვის მთავრობა გვერდში მოისვეს ჟენევაში. თუ მოსკოვს არ ეხერხება საგარეო ომი, როგორც ზევითა ვსთქვით, ის ძლიერ დახელოვნებულია საშოქალაქო ომში და, უნდა ითქვას, ბადალი არა ჰყავს ამ მხრივ მთელს დუნიაზედ.

უეჭველია, საერთო ფრონტი არც ისე ადვილი მისაღწევია, ინტერნაციონალში დიდ ჯახს გამოიწვევს, მოსალოდნელია მისი დაშლაც, როგორც 1914 წელს, და ამ შემთხვევაში ეროვნული დაპირისპირება განმეორებით გადამწყვეტ როლს ითამაშებს. მაგრამ აქ არის საყურადღებო თვით ფაქტი მოსკოვის მიერ ამ გამაერთიანებელ მიზნის დასახვისა და ის შედეგი, რაც მის განხორციელებას უნდა მოყვეს. ერთი სიტყვით, დასახულია დიდი გეგმა, რომელმაც უნდა ააფეთქოს ევროპა, და მის სწორუპოვარ ბელადს სტალინს უკვე ვეება ტანით აშუქებენ პროჟექტორებით ლენინგრადიდან!

ეს, ასე ვსთქვათ, რევოლიუციური ხაზით მუშაობაა, მოსკოვი მუშაობს აგრეთვე დიპლომატური ხაზით. ის დიდ ჭაპან-წყვეტაშია, გერმანიის სრულ გარიყვას მიაღწიოს, რომ მთელმა ევროპამ მას ზურგი აქციოს და თვითონ ევროპის ხერხემალად იქცეს. აღსანიშნავია ამ მხრივ მოსკოვის რადიო მარსელის ტერორისტულ აქტის გამო: ჩვენი 15 მილიონი ხიშტი თქვენს განკარგულებაშიაო—ეუბნება ის ევროპას ბელგრადის საშუალებით. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ მოსკოვი მოწადინებულია, რომ მარსელში გავარდნილი თოფი, როგორც ოდესმე სარაევოს თოფი, ახალი ომის დასაწყისად იქცეს. თუ ეს ახდა, მაშინ გზა იმდენათ მოკლდება რევოლუციისათვის, რომ ინტერნაციონალთან გაერთიანება ზედმეტი ხდება, ეს ისედაც მოხდება მისი პირდაპირი დამორჩილებით.

ნუ თუ ეს მახინაციები შეუმჩნეველი დარჩება? ევროპის მართველთა შესახებ ჩვენ არ ვიყავით არასდროს დიდი აზრის, მაგრამ არის მომენტი, როცა იმათაც ყურები უნდა დაიბერტყონ, რადგან ომი ევროპაში მათ განადგურებას უქადის, მთელს ცივილიზაციას. რაა საჭირო მდგომარეობის სახსნელათ? ევროპის სახელმწიფოთა მორიგება, პირველ რიგზე, საფრანგეთისა და გერმანიის.

უკანასკნელი ხელდაკრეფილი არა ხის. პოლონეთთან დაახლოება ჰიტლერის თაოსნობით მოხდა და, ცხადია, მიზანში საბჭოთა კავშირია ამოღებული. ამას ადასტურებს მეორე დიდი ფაქტიც: გერმანია და იაპონიის დაახლოება, რომლის შინაარსი ჯერ უცნობია ქვეყნიერებისათვის, მაგრამ აქა-იქ გავრცელებული ხმები უკვე მოწმობს, რომ კვამლი უცეცხლოთ არ ჩნდება. ერთს ასეთს ხმას ხორციც კი შეასხა ერთმა კორესპონდენტმა. ბერლინის და ტოკიოს შტაბები დიდ აქტივობას იჩენენო—ამბობს ის—, და განსაკუთრებით საჰაერო შეიარაღებაში მათი თანამშრომლობა ფრიად თვალსაჩინოაო. ვინ არ იცის, რომ საბჭოთა საჰაერო შეიარაღებას გერმანიამ ჩაუყარა საძირკველი; ეხლა გამოდის, რომ მთელი მისი აქტივობა ამ მხრივ გერმანიას იაპონიაში გადააქვს. ამისათვის, გარდა უმწვერვალეს ტექნიკურ დაწინაურებისა, მას ხელს უწყობს საბჭოთა შეიარაღების ყველა სუსტი და ძლიერი მხარეების, ყველა მისი საიდუმლოების ზედმიწევნით ცოდნა.

ამ რიგათ, საბჭოთა ეგრ. წოდ. უპირატესობა ჰაერში, ერთ წელში, თუ ადრე არა, ჩაილულის წყალს მიირთმევს შორეულ აღმოსავლეთში. მოსკოვს რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული საგულეში არა აქვს, იქიდანაც კარგათა სჩანს, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზას თითქმის მუქთათ უტოვებს მანჯუკუოს და მის დამოუკიდებლობასაც იცნობს. მაშასადამე, ერთა ლიგაში შესვლამ ვერ ჩაბერა მას საკმაო გამბედაობა, მოსკოვი თრთის ადრე თუ გვიან გარდაუვალი ომის წინაშე, რომელიც თვითონ მოამზადა ამდენი წლის ვერაგული ინტრიგებით ჩინეთში.

ჩვენი მტერი საზეიმოთ ემზადება. აწერენ აურაცხელ დროშებზედ: «გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის ბელადს ამხანაგ სტალინს! გაუმარჯოს პირველ სოციალისტურ ქვეყანას! გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოს!» დიახ, სამშობლოს!—და ეს წარწერა სჭარბობს ყველა დანარჩენს. კრემლი მიხვდა, რომ გიგანტები, კომბინატები და სხვა ფუჭია, თუ ხალხს არ ამოძრავებს პატრიოტული გრძნობა, თუ ის გულგრილია თავის ქვეყნის ბედის მიმართ.

და რომ ეს ასეა, მჭერმეტყველურათ ამტკიცებს საკონცეტრაციო ბანაკიდან გამოქცეული ერთი გლეხი-ოფიცერი ტ რ ე ნ ი ნ ი. ის მოგვითხრობს მილიუკოვის გაზეთში ისეთ ამბებს, რომელიც დაუჯერებელი გვეჩვენებოდა, ვინმე მემარჯვენეს რომ ეთქვა. 17 წლისა ვიყავი, როცა წითელ ჯარში შევედიო—ამბობს ტრენინი—, სულით და ხორცით მივენდე და ვემსახურებოდი საბჭოთა რეჟიმს. მაგრამ, როცა კოლექტივიზაცია შემოიღეს და გლეხობა გაანადგურეს, არა თუ მე, მთელს ჯარში შფოთვამ და ჯანყმა იჩინა თავი, კიევი ხუთი დღე აჯანყებულ ჯარის ხელში იყო, დაიწყეს წმენდა მაღალ და დაბალ ოფიცრობაში, მარტო მოსკოვში 2.000 ოფიცერი გაქრეს, საკმარისი იყო ერთი თავიანი სარდალი, რომ რეჟიმი პირქვე დაემხოო. აი, რა დასკვნას აკეთებს ტრენინი სიტყვა-სიტყვით: «სტალინის დესპოტიას ეშინია საგარეო შეტაკების, რადგან მას ეშინია საკუთარი წითელი ჯარის. როგორც კი მოხდება მობილიზაცია, გლეხობა პირველ ყოვლისა მოსპობს გულშემზარავ დესპოტიას და მხოლოდ შემდეგ შეებრძოლება გარეშე მტერს».

გულუბრყვილო გლეხ-ოფიცერს წარმოდგენილი არა აქვს, რომ «ტირანიის მოსპობა» მოასწავებს სამოქალაქო ომს. მას ავიწყდება ისიც, რომ, გარდა რუსის გლეხებისა, არიან დიდი და პატარა ერები, რომელნიც გამალებით უცდიან ასეთ შემთხვევას, რომ მოსკოვის უღელი გადაიგდონ. მაგრამ ერთში მართალია ის: ჩვენი მტერი ემსგავსება თიხის ფეხებზედ შემდგარ დევს, რომლის ბანჯგვლიანი თავი შიშსა გვრის ზოგიერთებს, ხოლო ერთი კარგათ შექანება წააქცევს, ისე როგორც მოუგიდა ძველს რეჟიმს.

მ ი მ ა რ თ ვ ა

ძვირფასო თანამემამულენო!

ჩვენ ყოველთვის გვწამდა, რომ გერმანიაში მყოფ ქართველთა საზოგადოება, 1921 წლის ბოლოს დაარსებული, არის ჩვენი ერის საერთო ნაციონალურ მისწრაფების გამომხატველი. ეს ნათლად სჩანდა საზოგადოების 12 წლის მოქმედებაში.

გერმანიაში გამოხიზნული ქართველობა, გამოუკლებლივ, გაერთიანებულია ერთს ეროვნულ პლატფორმაზე, როგორც ეს მკაფიოდ გამოხატულია, სხვათა შორის, ამასწინად ერთხმად მიღებულ საზოგადო კრების დადგენილებაშიაც. «მას თავიდანვე მიზნად დაუსახავს,—ჰღაღადებს იგი დადგენილება,—მშობელი ერის და ქვეყნის მალე განთავისუფლებისათვის ხელის შეწყობა... ამ ჟამად სხვა საკითხები მისთვის არ არსებობს. ის, როგორც მთელი ქართველი ეროვნული ემიგრაცია, თავის წმინდა მოვალეობად აღიარებს ეს სამართლიანი მოთხოვნა—ერის თავისუფლების აღდგენა—საერთაშორისო მსჯელობის და დაინტერესების საგნად გახადოს»...

ჩვენი საზოგადოება ამ მთავარ პრინციპით ხელმძღვანელობს! და ამიტომ დიდის ყურადღებით, უაღრესი პატივისცემით ეპყრობა შინ და გარედ ჩვენში გაჩენილ ყველა მიმართულებას, რომელსაც კი დაუსახავს ჩვენი ერის ნაციონალური აღორძინების მიზანი. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილი ვალდებულად უნდა სთვლიდეს თავისთავს სწორედ ასეთი თვალსაზრისით უყურებდეს ყოველ მონათესავე მამულიშვილურ მიმდინარეობას, რომ ბრძოლა-კამათში არ გადასცდეს ურთიერთ პატივისცემის, მიუკერძველობის ფარგლებს და მით ეროვნულ საქმეს ზიანი რამ არ მიაყენოს. მას გათვალისწინებული უნდა ქონდეს კარგად, რომ ბრძოლა ეროვნულ ჯგუფთა შორის სწარმოებს მხოლოდ სატაქტიკო ანუ მიზნის მისაღწევ საშუალებათა ამორჩევის სფეროში; მთავარ საკითხებში კი განსხვავება ჯერჯერობით არა სჩანს.

ჩვენ ყველანი დღიდან ჩვენი დაწესებულების დაარსებისა ვთვლით «გერმანიაში მყოფ დამოუკიდებელ საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოებას» ქართველ ნაციონალურ ემიგრაციის კავშირად, რომელიც მცირე ნასახია—ნაწყვეტი ჩვენი სახელოვანი ერისა. იგი გამოცალკევებული არ არის სრულიად და თავის საქმიანობას უფარდებს საერთო ქართულ მოძრაობას.

ამიტომ ჩვენი უმთავრესი მოვალეობაა პატივი ვცეთ უპირველეს ყოვლისა ჩვენ თავს, გავაფრთხილოთ ერთმანეთი, დავამყაროთ ღირსეულობა ჩვენ შორის და აღვადგინოთ ძველი ქართული რაინდული კეთილშობილება ამ სიტყვის წმინდა მნიშვნელობით. ამ მხრით უნდა მივსდიოთ ჩვენს ძველ ზნეჩვეულებათ, რომლის გამოყენება გამოგვადგება ახლანდელ მდგომარეობაში.

ჩვენმა არჩეულმა თუ დაყენებულმა კაცებმა უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიიღონ საზეიმო ფიცი, რომ არ ულალატებენ მამულიშვილურ საზოგადოებრივ მოვალეობა-დანიშნულებას და იქნებიან პირუთვნელი ერთგული მსახურნი ერისა და მისი დიადი საქმის. ჩვენი საზოგადოება როგორც გამაერთიანებელი ორგანო გამოხიზნულთა, მოვალეა ფრთხილად, დაუზოგველად და უშიშრად გამოსთქვას თავის დასაბუთებული, სამართლიანი აზრი ჯგუფზე იქნება თუ კერძო პირზე, წევრი იქნება იგი ჩვენი საზოგადოებისა, თუ გარეშე მყოფი,—თუ რამდენად შეესაბამება მისი ქცევა და მოქმედება ჩვენს წმინდა მიზანს, ზნეს და ეთიკას. არა გვაქვს უფლება ჩვენი დაწესებულება გადავაქციოთ პოლიტიკურ ჯგუფთა და თეორიულ მიმდინარეობათა საქიშპო ასპარეზად. ჩვენი საზოგადოება თვით თავის დანიშნულებით მოწოდებულია სძებნოს არსებულ ჯგუფთა შეთანხმების და, თუ შესაძლებელია, სრულ გაერთიანების ნიადაგი მაღალი მისწრაფების—ქართველი ხალხის უზენაესობის, სუვერენიტეტის აღდგენის მოსაახლოებლად. მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ დავაყენოთ ჩვენი დაწესებულება მაღალ დონეზე, რათა გადაიქცეს იგი ერთერთ ნამდვილ ეროვნულ-ზნეობრივ მოქალაქეობრივ ავტორიტეტად. ასე შევუწყობთ ხელს ნამდვილ ქართულ საზოგადოებრივ აზრის განმტკიცებას, რასაც სიმბოლიური მნიშვნელობა ექნება ჩვენს მომავალ ნაციონალურ სახელმწიფოებრიობისათვის.—ყოველი სხვა ნაბიჯი ჩვენს სათუთ, თანაც მძიმე საქმეში ცხოველმყოფელ ძალთა გათიშვას და აუნაზღაურებელ ზარალის მოტანას მოასწავებს. ჩვენ უნდა წარვსდგეთ ყველას წინაშე მხოლოდ მთლიანი სახით და ამით მოვიპოოთ სრული ნდობა და პატივი უცხო თანამგრძნობ ძალებისა.—არ უნდა მოსჩანდეს ჩვენი აწინდელი დაღარული, დაქსაქსული სახე.—სიმტკიცე და ძლიერება მარტო ერთიანობასა და მთლიანობაში გამოიხატება. ხოლო ეს ერთიანობა, ეს მთლიანობა უნდა წარმომდინარეობდეს შინაგან რწმენისა, შეგნებისა და წრფელი ნებაყოფლობისაგან და არ იყოს ხელოვნურად ან ძალით შეხანხლულ შეკოწიწებული.—ერთხელაც ხომ უნდა დადგეს წამი ერთურთის გაგებისა, პატიებისა და ნაციონალურ მჭიდრო კავშირისა.—ჩვენ, ჩვენის მხრით, როგორც პარტიათა და ჯგუფთა გარეშე მყოფნი, აღთქმასა ვსდებთ, სრული მინდობილობით და მხნეობით ამ გაერთიანება-შეკავშირებას ხელი შევუწყოთ.

ამ სახელმძღვანელო აზრებით გამსჭვალულნი ჩვენ შევუდექით ჩვენი ძველი ეროვნული დაწესებულების ახალ მართვას.

დიდება ჩვენს ერს! გამარჯვება საქართველოს!..

შენიშვნა: ეს «მიმართვა» ერთხმად მოწონებული და გამოსაქვეყნებლად დადასტურებულია გერმანიაში მყოფ ქართველ მოქალაქეთა საზოგადო კრების მიერ 8 ივლისს 1934 წ.

საზოგადოების თავმჯდომარე

გრიგოლ დიასამიძე.

უცხოეთის პრესა

საფრანგეთის პრესა.

ცნობილია, რომ საფრანგეთი ყველაზე მეტად ცდილობდა, რათა რუსეთი ერთა ლიგაში შეეყვანა, ამით ის გერმანიისაგან ჩამოეგლიჯა და თავის პალოზე დაება. მიუხედავათ ამ წმინდა პოლიტიკური მოსაზრებისა საფრანგეთის პრესის ნაწილში ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

მთელი რიგი გაზეთებისა, როგორიცაა: «ჟურნალი», «მატენ», «ჟურნალ დედება», «ჟე სვი პარტუ», «ჟურ», «ეკო დე პარი» და სხვა ეჭვის თვალით უყურებს რუსეთის ლიგაში თანამშრომლობას.

«ჟურნალ დედება» თავის მოწინავეში ირონიით იხსენიებს ფრანგული პრესის ერთი ნაწილის სიხარულს და ამბობს:

ისინი ვინც თავს აიმედებენ იმით, რომ შესძლებენ ბოლშევიკების გაკეთილშობილებას ერთა ლიგაში შეყვანით—მოგვაგონებენ იმ კეთილ ადამიანებს, რომლებიც ნათლავდენ რა ნორმანდიის მეკობრეთ გულუბრყვილოთ ფიქრობდენ, რომ ამით მეკობრენი კულტურულანი ხალხი გახდებოდენ».

მეორე ცნობილი გაზეთი «ლე ჟურნალ» თავის მოწინავეს უძღვნის რუსეთის ლიგაში შესვლას და აქედან გამოყავს ის ვალდებულებანი, რომელიც მექანიკურად ეკისრება მოსკოვს. სხვა ვალდებულებათა შორის ის იხსენიებს საქართველოს და უკრაინის საკითხს:

«ერთ ერთი შედეგი რუსეთის ლიგაში შესვლის არის საქართველოს და უკრაინის საკითხის წამოყენება, რომელიც ვითომცდა მოხსნილია უკანასკნელი აქტით. თუ ეს ასე მოხდა მაშინ გამოდის, რომ ერთა ლიგაც ისე, როგორც ამას მუდამ ჩადიოდა საბჭოები, თავის ხელწერილს გამოაცხადებს «ნაგლეჯ ქაღალდათ».

საქართველოზე უფრო გარკვევით სწერს კვირეული გაზეთი «ჟე სვი პარტუ». ის ეხება რა რუსეთის შესვლას ლიგაში, მოითხოვს, რათა მას დაუყენონ მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა შორის:

«საქართველოსთან 20 წელში დადებული ხელშეკრულების მოსკოვის მიერ «ნაგლეჯ ქაღალდათ» გამოცხადება და უხეში ძალით თავისუფალი პატარა ქვეყნის დაპყრობა ეკუთვნის იმ კატეგორიის საკითხებს, რომელიც მოგვარებულ უნდა იქნეს თანახმად თვით ლიგის არა ერთ გზით მიღებულ დადგენილებებისა».

ამავე საკითხს ეხება პარიზის გავლენიანი გაზეთი «ლა ლიბერტე» (1 ოქტ.), რომელიც გადაჭრით მოითხოვს საბჭოებისაგან ჯარის გაყვანას საქართველოდან:

«საქართველომ, მეტად ძველი და მაღალი ცივილიზაციის ქვეყანამ, ძველმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ, რომელიც მრავალჯერ დახმარებია დასავლეთს აღმოსავლეთის ხალხებთან შეტაკების დროს, ორი ათასი წლის მანძილზე დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა.

მიუხედავად არაბების, მონგოლების, თურქების, სპარსელების და რუსების თავდასხმებისა მან შეი-

ნარჩუნა თავისი ეროვნული სული, თავისი ენა და ტრადიციები. მე-18 ს-ში აღა-მაჰმადხანის შიშით საქართველოს მეფე იძულებული გახდა 1783 წ. კავშირის და მეგობრობის ხელშეკრულობა დაედვა რუსეთთან.

მაგრამ რუსეთმა უდალატა საქართველოს და ძალით შეიერთა 1801 წ. მას შემდეგ საქართველო არა ერთხელ აჯანყდა მოძალადეთა უღლის გადასაგდებად და რუსეთის რევოლუციის შემდეგ 1918 წ. 26 მაისს აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა.

1921 წ. 11 იანვარს ვერსალის კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ დე-იურე იცნო მისი დამოუკიდებლობა.

თავის მხრით რუსეთმაც 1920 წ. 7 მაისის საგანგებო ხელშეკრულობით აღიარა საქართველოს სრული დამოუკიდებლობა. მაგრამ 1921 წ. საბჭოთა რუსეთმა დაარღვია ხელშეკრულობა, თავს დაესხა საქართველოს და მიუხედავად გმირულ წინაამდეგობისა კვლავ დაიკავა თავის ჯარით.

ამ ამბავმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია და ნაციათა ლიგამ 1922 და 1924 წლ. ორჯელ დაადგინა და მოუწოდა თავის საბჭოს, რათა ესარგებლა ხელსაყრელი შემთხვევა და დახმარებოდა საქართველოში ნორმალურ მდგომარეობის აღდგენას.

ერთა ლიგის პაქტის პირველი მუხლის ძალით, რომელიც მოითხოვს წევრისაგან «ნამდვილ გარანტიებს იმისა, რომ გულწრფელად შეასრულებს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს», რუსეთის პირველი მოქმედება უნდა იქნეს ის, რომ უნდა გამოასწოროს საქართველოს მიმართ ჩადენილი უსამართლობა.

რუსეთმა ჯარი უნდა გაიყვანოს საქართველოდან და აღადგინოს იმ ერის სუვერენობა, რომლის უფლებათა პატივისცემას მან ხელი მოაწერა».

საქართველო და ერთა ლიგა.

საფრანგეთის და ინგლისის გაზეთებს გარდა საქართველოს საკითხმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია შვეიცარიის გაზეთებში. მთელი კვირის განმავლობაში გაზეთების ფურცლებიდან არ ჩამოსულა საქართველოს საკითხი. «ჟურნალ დე ჟენევი», «ტრიბუნი» და სხვები მოწინავეებს უძღვნიდენ საქართველოს საკითხს და საქართველოს წარმომადგენლობის მემორანდუმს ერთა ლიგის თავმჯდომარეზე გადაცემულს. სხვათა შორის «ჟურნალ დე ჟენევი» ერთ-ერთ თავის მოწინავეში აყენებს მთელ რიგ საკითხებისას, რომელიც გაზეთის აზრით უნდა წარადგინოს შვეიცარიის დელეგატმა, როგორც პირობა რუსეთის ერთა ლიგაში მიღების. აქ ის სწერს:

«კომისიამ უნდა მოსთხოვოს რუსეთს, რათა მან ჯარები გაიყვანოს ჩინეთის და საქართველოს ტერიტორიიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი მოექცევა «თავდამსხმელ მხარის» მდგომარეობაში, რომლის ფორმულა თვით ლიტვინოვმა წამოაყენა. ამ შემთხვევაში მას მოუწევს პასუხისგება ლიგის სტატუტის მე-16 მუხლის დარღვევისათვის».

შემდეგ გაზეთი აცხადებს, რომ რუსეთის შემოსვლა ლიგაში საბედნიეროდ არ მოხდა ისე, როგორც ეს მის ვექილებს უნდოდათ. საბჭოები შევიდენ ლიგაში არა შარავანდედით მოსილნი, არამედ მხილებათა ნიაღვარით დალექილნი.

«სიმართლე და ჭეშმარიტება განცხადებული იქნა ბ. მოტას მიერ და ეს სიმართლე არის ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას თავი არ დაუნებებია თავის ძალმომრეობის პოლიტიკისათვის... ის კვლავ განაგრძობს გმირული ერის, საქართველოს ჯიჯგნას, რომელსაც ცინიკურათ მოსტაცა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელიც თვით რუსეთის მიერვე იყო ცნობილი».

საბჭოები და გერმანია.

საერთოდ გერმანიის პრესა თავდაჭერილი ირონიით შეხვდა ზოგიერთ სახელმწიფოების თავის გამოდებას რუსეთის ერთა ლიგაში შესაყვანათ. თითქმის ყველა გაზეთები უარყოფითად აფასებენ ამ აქტს და მათი აზრით რუსეთს, ვერაფერს შემატებს ევენევაში მოკალათება, რომლიდანაც გერმანია დროზედ გავიდა და თავისუფლად ამოისუნთქაო.

«მალე დარწმუნდებიანო—სწერს «ბერზერ-ციტუნგ»—რუსეთის დღევანდელი ვექილები, თუ რამდენათ შეუთავსებელია ერთა ლიგის პრინციპები მოსკოვის კომუნიზმის ბუნტარულ სულთან»-ო.

იაპონია და რუსეთი.

რუსეთის ერთა ლიგაში შესვლას ეხება იაპონიის პრესაც და დიდი სიდინჯით აფასებს მომხდარ ფაქტს. მთავრობის ოფიციოზი «იომიური» სწერს:

«ევენევის ორგანო საბოლოოდ იღებს ევროპის სახელმწიფოების ლიგის სახეს. აიძულეს რა გერმანია და იაპონია გასულიყვენ ლიგიდან—ნიადაგი მოუმზადეს რუსეთს შიგ შესასვლელად. იაპონიის პოპულიარულ წრეებში—დაასკვნის გაზეთი—არ იზიარებენ იმათ აზრს, რომლებიც ფიქრობენ, რუსეთს, როგორც ლიგის წევრს შეუძლია შეასუსტოს იაპონიის გავლენა აღმოსავლეთზე და გერმანიის—დასავლეთზე».

პოლონური პრესა.

«კურიერ პორანნი» მთავრობის მომხრე რადიკალურ მიმართულების ორგანო № 249. დეპეშა ევენევიდან:

«ჟურნალ დე ჟენევ» აგრძელებს რა კამპანიას საბჭოთა რუსეთის ერთა ლიგაში დაშვების წინაამდეგ, მოგვაგონებს დღეს დეკლარაციას სხვადასხვა ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეთა საქართველოს დაცვის საკითხში 1922—1924 წლებში გაკეთებულს.

გაზეთი აცხადებს, რომ შეუძლებელია საქართველოს საკითხი მიყრუებულ იქნას ერთა ლიგის წევრთა საერთო კრების მიერ და რომ ლიგამ დაადასტუროს 7 მაისის 1920 წლის ტრაქტატის შელახვა საბჭოების მიერ, რომლის ძალით საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილი იყო».

«კურიერ ვარშ.» «ენდეკების» ზომიერი ორგანო № 252. დეპეშა ევენევიდან ასეთი სათაურით «ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობა».

შვეიცარიის უარყოფითი პოზიცია საბჭოთა რუსეთის ერთა ლიგაში მიღების საკითხში ნაკარნახევია, როგორც ირწმუნებიან შვეიცარიის პოლიტიკურ წრეებში, უმთავრესათ მოსკოვის მიერ საქართველოს ოკუპაციით. ამ შემთხვევის გამო მოგვაგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებენ ერთა ლიგის წევრთა საერთო კრების 1922 და 1924 წლების რეზოლუციებს, რომლის თანახმათ ლიგა ავალებდა საბჭოს თვალყური ედევნა საქართველოს ცხოვრებისათვის და სათანადო მომენტში აღედგინა ამ ქვეყანაში არსებობის ნორმალური პირობები თანახმათ საერთაშორისო უფლებისა. საფრანგეთის მთავრობამ თავისი დელეგატის პირით განაცხადა იმ ხანათ ლიგის პოლიტიკურ კომისიაში, რომ ლიგას არ შეუძლია გულგრილათ უცქიროს ქართველი ხალხის წამებას. ანალოგიური განცხადება გააკეთეს შვეიცარიის და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა.

7 მაისს 1920 წ. საბჭოთა მთავრობამ დასდო საქართველოს რესპუბლიკასთან ფორმალური ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას სრული გარანტია ეძლეოდა. 1921 წლის დასაწყისში ეს ხელშეკრულობა ბოლშევიკების მიერ დარღვეულ იქნა და წითელი არმიის საშვალებით საქართველო დაპყრობილ იქნა. ამიტომ შვეიცარია მოითხოვს საბჭოებისაგან საქართველოს დაცლას, სანამ ერთა ლიგაში შევიდოდეს, და ამით დაამტკიცოს, რომ მზათ არის მომავალში აასრულოს საერთაშორისო ვალდებულებანი თანახმად ერთა ლიგის სტატუტის პრინციპებისა».

«პოლონეთის მერკური», კვირეული გამოცემა, № 36. შემდეგ სტრიქონებს უძღვნის საქართველოს:

«. . . ჯერ კიდევ არაა მივიწყებული ქართველთა მარტიროლოგია. 1920 წელში საბჭოთა ხელისუფლებამ მოაწერა ხელი ტრაქტატს, რომლის ძალით საქართველოს დამოუკიდებელი ცხოვრების გარანტია ეძლეოდა.

ეს ტრაქტატი, ცნობილი ევროპის სახელმწიფოების მიერ, შელახულ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ.

ერთა ლიგა რომ სერიოზული ორგანიზაცია ყოფილიყო, არ გამართავდა მოლაპარაკებას საბჭოებთან, მანამ საბჭოთა უღლის ქვეშ მყოფ ერთ თავისუფლებას არ დაუბრუნებდა».

«ვეჩორ ვარშავსკი», ენდეკების სალამოს გაზეთი, № 263. მოყავს ვრცლათ შვეიცარიის დელეგატის მოტას სიტყვა.

მოტას სიტყვა ვრცლათ მოათავსეს აგრეთვე თითქმის ყველა გაზეთებმა, მათ შორის მთავრობის «გაზ. პოლსკა» და «კურიერ პორანნიმ».

თითქმის ყველა გაზეთებმა დაბეჭდეს ცნობები «ჟურნალ დე ჟენევ»-დან საქართველოს შესახებ.

რუსეთის ლიგაში შესვლა და ამერიკული პრესა.

როგორც ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს, ერთა ლიგაში საბჭოების შესვლამ შეერთებულ შტატებში დიდი შთაბეჭდილება არ მოახდინა. მხოლოდ პრესის მცირე ნაწილმა უძღვნა განსაკუთრებული წერილები, სადაც იგონებენ აქაურ შარშანდელ მდგომარეობას, როცა ამერიკამ საბჭოები იცნო, და როგორ გაუცრუვდა იმედები. ბილიონების ალებმიცემას დაგვპირდენ საბჭოები, ახლა ყველაფერი კვერცხის ნაჭუჭის ფასამდე ჩამოვიდაო. რვაასი მილიონი დოლარის ვალის მაგივრად შემოგვაძლიეს ასი—იმ პირობით რომ, თუ ხუთას მილიონს უკან მივცემდით. საბჭოების დაპირებანი ლიგისთვის დიდი საიმედო არ იქნებაო.

თვით ფინკენშტეინის მოქცევამ პრესა ხუმრობის გუნებაზე დააყენა. ჯერ იყო ცნობები, რომ ლიტვინოვი და მისი შინაყმები საზღვარზე დაძახებას უცდიან და დასტვინვაზე ჟენევაში გაჩნდებიანო. მერე პრესამ გვამცნო, რომ რუსები უკვე შიდ დარბაზში არიანო. «ნიუორკის ტაიმსი» გადმოგვცემს: «როცა ფორმალური მხარე მიღებისა გათავდა, ყრილობა გაიხსნა და ერთა ლიგის თავმჯდომარემ სანდერსმა სიტყვით მიმართა კრებას, რომ გარედ მყოფი რუსის დელეგატები მოეწვიათ—მას უეცრად მოხვდა თვალში, რომ ისინი უკვე თავის ადგილზე ისხდნენ, რამაც როგორც თავმჯდომარის ისე მთელი დარბაზის სიცილი გამოიწვია»-ო.

პრესამ მოკლედ აღნიშნა უფეროულ სიტყვების შინაარსი საბჭოების მიღების მომხრეებისა და მათი საბუთები»... მაგრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქ შვეიცარიის დელეგატის მოტას სიტყვამ. აქ მხოლოდ მისი სიტყვა დაიბეჭდა შეუმოკლებლად. სასიამოვნო იყო მის მიერ საქართველოს ხსენება: «იმედია ლიგის რეზოლიუცია საქართველოს შესახებ არ დაიძინებს მკვდრის ძილით... მთელი კაცობრიობის თანაგრძნობა თან ახლავს იმ გმირებს, ვინც იცავენ თავის სიცოცხლეს და თავის თავისუფლებას»-ო. მოტას პრესამ უწოდა: «გულწრფელი», «ვაჟკაცი», «უშიშარი», «კეთილშობილი და სხვა... «ნიუორკის ტაიმს»-ის ჟენევაში მყოფ კორესპონდენტმა შენიშნა, რომ თუმცა რუსეთმა 39 ხმა მიიღო, მაგრამ ხმის მიმცემლების გული და სიმპატია მოტასკენ იყო, რაც მისი ტაშით დაჯილდოვებით და კომენტარიებით დამტკიცდაო.

ყურადღებით აღინიშნა აგრეთვე ირლანდიის პრეზიდენტის დე ვალერას სიტყვა, რომელშიაც საბჭოების წინაამდეგ გაილაშქრა... თვით ლონდონის პრესა, რომელიც საერთოდ წინაამდეგია ირლანდიის პრეზიდენტისა, მეტად კმაყოფილია მისი ჟენევის სიტყვითო.

საერთოდ, ამერიკის პრესა უყურებს ერთა ლიგის მოქმედებას როგორც ჭადრაკის თამაშს. ყველა ცდილობს ძალთა განწყობილების თავის მხარეზე გადაბირებას და დარაზმვასო...

«ნიუორკის ტაიმსი» ამბობს: «რუსეთის შესვლა ერთა ლიგაში იძულებითაა... საბჭოები მოელიან საშიშროებას გერმანიიდან, თუ მათ მოუხდათ ომი იაპონიასთან. ბევრი ფიქრობს, რომ პოლონეთს აქვს ფარული ხელშეკრულება, შეუერთდეს იაპონიას და გერმანიას საბჭოების წინაამდეგ»-ო.

«ჰერალდი სტეიტსმენი» გაკვირვებულად იძახის: «საბჭოები უკვე ერთა ლიგაში არიან! ვის შეეძლო ეწინასწარმეტყველა ამისთანა საოცარი სიტუაცია ხუთი წლის წინედ? მაშინ რუსეთი იყო ეკალი ლიგის ხორცზე... ახლა კი ბურჯია ტაძრისა. რუსეთს და ჟენევას არ უყვართ ერთმანეთი. ერთა ლიგის წევრებს სძულთ რუსები, მაგრამ ორივე მხარე ფიქრობს, რომ არ შეუძლიათ ცხოვრება ერთმანეთოთ და ლიგა ფიქრობს, უკეთესია რუსეთი ყავდეს თავის წრეში, რომ შეეძლოს მისი თვალყურის დევნა»-ო.

პოლონელი ჟურნალისტი საქართველოზე

ბ. ოტმარს, ჩვენი ერის ცნობილ პოლონელ მეგობარს, გასულ ზაფხულში უმოგზაურია ჩრდილოკავკასიაში და საქართველოში. ოფიციოზურ პოლონურ გაზეთში «გაზეტა პოლსკა»-ში ოტმარი ათავსებს ამ მოგზაურობის შესახებ მეტად საინტერესო წერილებს. ვფიქრობთ ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ ჩვენს მკითხველებს გავაცნობთ ზოგიერთ ადგილებს მისი წერილებიდან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბ. ოტმარი, საქართველოში ნამყოფია, როცა ის თითქმის ბავშვი, 14 წლის იყო. საქართველო დასტოვა დამოუკიდებლობის დღეებში 1918 წელს შემოდგომაზე. საქართველოში მოკლე ხნის ყოფნის დროს მას ქართული ენა საკმაოთ შეუსწავლია.

საკმარისია, ერთხელ მოხვდე ამ მხარეში—სწერს ოტმარი, რომ შემდეგ მთელი სიცოცხლე მაზე დაღონებული იყო, როგორც საკუთარ სამშობლოზე. და აი აქ ხელახლა ვიმყოფები 16 წლის შემდეგ. პირველათ ფშავებს და ხევსურებს, მწყემსებს, წავაწყდი, რომელნიც ჩვენს მისალმებაზე ბიბლიური სიამაყით გვიპასუხებენ. უფრო შორს შეგვეგება შავ კაბებში, ცხენებზე, კოხტად მჯდომი ქართველი ქალები. ასე გეგონებოდა დაბადებით ამორძალები იყვნენ. განვიცადე წამები ნამდვილი აღფრთოვანების. აი თვალწარმტაცი საქართველოს სატახტო ქალაქი ტფილისი. გამახსენდა ქართული თქმულება, ვისაც ერთხელ უგემია ტფილისში მტკვრის წყალი, ის უეჭველათ კიდევ ერთხელ დაუბრუნდება კავკასიას.

პირველი ჩემი სურვილია, ვინახულო ამდენი ხნის შემდეგ უნახავ ტფილისში «რაღაც ახალი». ტფილისის მთავარ არტერიაზე, საუცხოო შოთა რუსთაველის ქუჩაზე ვიმყოფები. პირველი შთაბეჭდილება: პირველ ჩემს სიხარულს, რომ ვიხილე თითქო ჩემი სამშობლო ქალაქი, თან ერთვის რაღაც სიმწარე, გამოწვეული იმ ტიპიური საბჭოების კავშირის ყველა ქალაქებისთვის «კაპიტალური რემონტით», რომელიც ტფილისში, როგორც მარწმუნებდნენ, ერთი წელია რაც გრძელდება, ნამდვილათ კი უკანასკნელი ოთხი წელიწადია. მიუხედავათ ამისა აქ ცოტა ამშენებლობაა, ყოველ შემთხვევაში, ბევრათ ნაკლები, ვინემ საბჭოთა სხვა ქალაქებში, სადაც ყოფნა მომიხდა. ამშენებლობის მაგივრათ, აქ მუდამ რაღაცას ანგრევენ, სწარმოებს მუდმივი შეკეთება. აქ ნამდვილ ავათმყოფობათაა გადაქცეული მუდმივი შეკეთება ქუჩების ზედაპირისა. ხან ერთი ქუჩაა დახურული მოძრაობისთვის და შეკეთების შემდეგ იხსნება მხოლოთ პრივილეგიაში მყოფ უმაღლეს მოხელეთათვის, დიპლომატებისთვის, ინტურისტებისთვის და სხ., ხან მეორე.

მთავარ არტერიაზე ორი ახალი შენობაა: «შრომის სასახლე» ამერიკული სტილის და კავკასიის პარტიულ ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის შენობა, რომლის უზარმაზარ სარდაფში მოქცეულია ერთი უსაშინელესი სატუსაღოთაგანი მთელს დედა მიწის ზურგზე, და რომელიც გადმოტანილია ამ უკანასკნელ ხანებში მეტეხის ისტორიულ ციხიდან.

ასეთი მიწის ქვეშ მოქცეული სატუსაღო ტფილისში რამდენიმე უნდა იყოს, და თუ პესიმისტებს დაუჯერეთ, ათზე მეტიც. ადგილობრივი ძალა-უფლება ყოველ ნაბიჯზე იმით ამაყოფს, რომ «ძველი მეფის სატუსაღო, მეტეხის ციხე, ისტორიულ მუზეუმათ გადაკეთდაო».

«თავისუფლების» (ერევნის) მოედანი მთლიანათ დათხრილია. ყოფილ მთავარ შტაბის წინ ფუსფუსებენ დიდ ძალი ტიპიური რუსთა მოხელენი. დამახასიათებელ რუსულ პირ სახეს თქვენ ჰხედავთ თითქმის მხოლოდ სამხედრო ტანისამოსში. «სპეციალური კავკასიის წითელი არმია», რომელიც აქ იმყოფება, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, შემდგარია რუსებისგან და აქ იქ გარეულია უკრაინელები.

სოლოლაკის ნაწილი წარმოადგენს, როგორც იტყოდა დიმიტრი მერეჟკოვსკი «საზიზღარ სიცალიერეს».

პოლონეთის საკონსულოს წინ აღფრთოვანებით გვეგებება მოზარდი ახალგაზდობა. მათ მისალმებაზე ჩვენ მიერ ქართულად პასუხის გაცემა იწვევს ახალგაზდებში ენტუზიასტურ განცვიფრებას... ამის შემდეგ საკონსულოს წინ ჩვენ გვეგებებოდა მხოლოდ და მხოლოდ მილიციის წარმომადგენელი, რომელიც ერთი დუქნის წინ «კუდში» ჩამდგარ მოსახლეებს ბღვერით შეჰყურებდა.

მივდივარ სომხის ბაზარზე და როცა დავბრუნდი, ქუჩებში დავიბენი. მივმართე ერთ ქართველს, გზა ეჩვენებინა. უკმაყოფილებით ქართულად წაიბუტბუტა—რუსული არ მესმისო. როცა მის სამშობლო ენაზე განუმეორე თხოვნა, მისი სახე გაბრწყინდა, წელში გაიმართა, თვალის დახამხამებაზე დაწვრილებით ამიხსნა, თუ რა გზით წავსულიყავი. გამომემშვიდობა სიტყვებით: გენაცვალე, შენი ჭირიმე...

საბჭოები-საფრანგეთი-პოლონეთი

(პოლონურ გაზეთებიდან)

რამ აიძულა საბჭოები ევროპისკენ პირი ებრუნებია, იმ ევროპისკენ, რომლის წინაამდეგ შეუწყვეტლივ იბრძოდენ თუთხმეტ წელზე მეტია? ამ საკითხს ხშირათ უბრუნდება პოლონეთის პრესა და ერთად ერთ ახსნას იძლევა.

ვისთვისაა საიდუმლო—სწერს «ვიეჩურ ვარშავსკი» 18 სექტემბრის ნომერში—რომ საბჭოებმა ეს რამდენიმე წელიწადია, მთავარი ყურადღება შორეულ აღმოსავლეთს მიაქცია, სადაც იმის შიშით, რომ იაპონია ხელთ იგდებს, ერთად ერთ საბჭოთა ბაზას წყნარ ოკეანეზე, ვლადივოსტოკს და აღმოსავლეთ ციმბირს, იძულებულია მიიღოს მთელი რიგი ზომების საომარი, პოლიტიკური და სამეურნეო. შეჰქმნა სპეციალური არმია შორეულ აღმოსავლეთში, ურალში მოაწყო სამხედრო წარმოება. მთელი რუსეთი სცხოვრობს ბრძოლის ატმოსფერაში ვლადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოსტოკსა და აღმოსავლეთ ციმბირისთვის. მთელი რუსეთი იაპონიასთან მოსალოდნელ ომის შიშმა შეიპყრო და აი საბჭოებმა პირი იბრუნეს ევროპისკენ. მაგრამ ევროპაში—განაგრძობს გაზეთი—გერმანელებმა ხმა მაღლა განაცხადეს, რომ უნდა მოხდეს ბოლშევიზმის ლიკვიდაცია და მიზნათ აიღეს რუსეთში საკოლონიზაციო მიწები ხელთ იგდონ, ზედმეტი მოსახლეობის დასასახლებლათ. გარდა გერმანიის, საბჭოებს ევროპაში აწუხებს ისიც, რომ პოლონეთი სწრაფად გაიზარდა. მათ ეშინიათ, რომ იაპონიასა და რუსეთს შორის ომის დროს, პოლონეთი ზეგავლენას მოახდენს ბალტიის სახელმწიფოებზე და რუმინიაზე. ეშინიათ უკრაინელების, ბელორუსების და სხ., რომელნიც საბჭოების საზღვრებში არიან მოქცეულნი. და აი ნახტომიც გაკეთებულია: საბჭოები საფრანგეთს გადაეხვიენ.

რა მდგომარეობაში იქნება ჩაყენებული პოლონეთი, თუ რუსეთმა კავშირი შეკრა საფრანგეთთან? ამას ასე უპასუხებს გაზეთი. თუ საბჭოებსა და იაპონიას შორის ომი მოხდა, ეს ნიშნავს, რომ გერმანელები ვერ გაბედავენ, რუსეთის ტერიტორიაში შესვლას. პოლონეთიც უნძრევლათ უნდა იყოს, წინაამდეგ შემთხვევაში პოლონეთ-საფრანგეთის კავშირი მოისპობა-ო. გარდა ამისა, არის სხვა მხარეებიც, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცესო. სწერს გაზეთი. ჩვენი პოზიცია დასუსტდება საფრანგეთში, უწი ნარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ერთი მოკავშირის პოლონეთის მაგიერ აღმოსავლეთში ორი მოკავშირე ეყოლება საფრანგეთს: პოლონეთი და რუსეთი. ჩვენ ნაკლებ ანგარიშს გაგვიწევენ ფრანგები და ახლაც ნაკლებ ანგარიშს გვიწევენო. საბჭოების პიზიცია უფრო ძლიერია ლიგაში, ვინემ ჩვენიო.

და იმის მაგიერ რომ ფრანგებმა აღიარონ თავისი აჩქარებული ნაბიჯი, ჩვენ გვესხმიან თავზეო—სწერს პოლონეთის გაზეთის «კურიერ პორანნის» გავლენიანი რედაქტორი მ. სტაიჩინსკი. ჩვენს მთავრობას ბრალს სდებენ პოლონეთის ერის და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე, რომ მან უღალატა პოლონურ ინტერესებს. ჩვენ ბრალს გვდებენ, ვითომდა საიდუმლო ხელშეკრულება დავსდევით გერმანიასთან, რომლის ძალით ვითომდა ხელს ვიღებთ პომერანიაზე და ზღვის ნაპირებზე. გვწამებენ იმასაც, ვითომ პოლონეთის მთავრობამ თავისი ინტერესები გაყიდა 500 მილ. ფრანკად. ნუ თუ საფრანგეთის პუბლიცისტებს ჰგონიათ, რომ როცა პოლონეთის ერს და მის მთავრობას ასე ლანძღავენ, ნდობის საფუძვლებს აშენებენ ვარშავაში?

გაზეთი დასძენს, რომ ჯერ-ჯერობით საფრანგეთის მხრივ დიდძალი პრეტენზიები გვინახავს, დახმარება კი ნაკლები. პარიზს ძლიერ სწყინს, რომ პოლონეთ-გერმანიას შორის დამოკიდებულება გაუმჯობესდა და ინსინუაციების მეთოდებით უნდა ქვეყნიერება დაარწმუნოსო, რომ ამ ორ ერს რაღაცა სამხედრო მიზნები აქვთო...

ნოტა ერთა ლიგის

მე-15 ყრილობის თავმჯდომარეს სანდლერს.

ბ. თავმჯდომარე, კავკასის, თურქესტანის და უკრაინის ერების სახელით პროტესტს ვაცხადებთ საბჭოთა მთავრობის ლიგაში მიღების წინაამდეგ და ჩვენ არ ვაძლევთ მას უფლებას იყოს წარმომადგენელი ჩვენი ერების და ილაპარაკოს მათი სახელით.

ჩვენ სრულიად გაოცებულნი ვართ, რომ ს.ს.რ.კ. დაშვებულ იქნა ნაციათა ლიგაში ისე, რომ ერთი პირობაც კი დაუყენეს მოსკოვის მთავრობას, რომელმაც აგრესიული აქტები ჩაიდინა ჩვენი ქვეყნების მიმართ და დაიკავა სამხედრო ძალებით, რომელიც მართველობს ტერორით, რომელმაც შემოიღო იძულებითი მუშაობა თავის ქვეშევრდომთა შორის და ვინც თავის შეუწყნარებელი პოლიტიკით დაამშია ჩვენი მდიდარი ქვეყნები.

ერთი მთავარი არგუმენტთაგანი საბჭოების ერთა ლიგაში მიღების მომხრეთა არის სურვილი, რომ არ უნდათ გარიყული დასტოვონ «ას სამოც მილიონ მცხოვრებთაგან შემდგარი ერი». მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ აღვნიშნოთ, რომ თვით საბჭოთა სტატისტიკით, წმინდა რუსები (მათ შორის ნაგულისხმევი არიან დონის და ყუბანის ყაზახები) შეადგენენ საერთო რიცხვის მხოლოდ 52,9 პროცენტს და მკვიდრთა დანარჩენს, თითქმის ნახევარს წარმოადგენენ სხვა ერები—უკრაინელები, კავკასიელები, თურქესტანელები, ყირიმის და ვოლგის თათრები, ბელორუსები და სხ.

ამ უკანასკნელთა რიცხვში კავკასიის, უკრაინის და თურქესტანის ერები შეიკავენ დაახლოვებით 60 მილ. მცხოვრებს. ყველა ეს ერი მხოლოდ იმას ფიქრობს, რომ მოსკოვს ჩამოშორდეს და დაამხოს შეუწყნარებელი რეჟიმი, რომელიც მოახვია მათ დამპყრობელმა უხეში ძალით და რომლის წინაამდეგ ისინი იბრძვიან და იბრძოლებენ მედგრად მუდამ, სანამ არ განთავისუფლდებიან.

ვთავევებთ რა ჩვენს მომართვას, საჭიროდ ვრაცხთ განვუცხადოთ თქვენს აღმატებულებას, რომ მიუხედავად ს. ს. რ. კავშირის მიღებისა ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს განვაგრძოთ ჩვენი მოქმედება ერთა ლიგასთან ჩვენი ერების კანონიერ უფლებათა დასაცავად. იმედი გვაქვს რომ ერთა უფლების დამცველნი დაგვეხმარებიან ჩვენი მიზნის მისაღწევად ერთა ლიგის ფარგალში.

აზერბაიჯანის სახელით: მირ იაკუბ, აზერ. დელეგაც. თავმჯდ. მოადგ.

ჩრდილო კავკ. ,, ჩულიკ, პარლამენტის თავმჯდომარის ყ. ამხანაგი.

საქართველოს ,, ა. ჩხენკელი, საქ. ყ. ელჩი საფრანგეთში.

თურქესტანის ,, მ. ჩოკაი, თურქეს. ეროვ. კომიტ. დელეგატი.

უკრაინის ,, ა. შულგინი, უკრ. ეროვნ. მთავრობის დელეგატი.

ჟენევა 18 სექტ. 1934 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა ჩოვიდან

პაპის და, მაშასადამე, მთელი კათოლიკურ მსოფლიოს, ოფიციოზმა L'Osservatoro Romano»-მ, ამა წლის 31 აგვისტოს, მოათავსა კავკასიის კონფედერაციის პაქტი, რომელსაც წაუმძღვარა შემდეგი წერილი ამ სათაურით: «კავკასიის ხალხთა წარმომადგენელები ამტკიცებენ საძირკველს კონფედერაციისათვის ბოლშევიკურ უღლიდან თავის დასაღწევათ».

«დიპლომატურ წრეებში—სწერს ხსენებული გაზეთი—დაჟინებით ისმის, რომ ერთა ლიგის სექტემბრის სესიის ყრილობაზე დაისმება საკითხი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მიღებისათვის ქენევის დაწესებულებაში. რა სახით დაისმება ეს საკითხი? რომელ მხრიდან იქნება ინიციატივა—საბჭოთა მთავრობისაგან, თუ პირიქით ის იქნება მოპატიჟებული სხვა სახელმწიფოთაგან?

უეჭვოა, ყოველშემთხვევაში, რომ ზოგი სახელმწიფო არ დაზოგავს ლონისძიებას, რომ ეს პრობლემა დადებითად გადაიჭრას.

ერთობ ადვილი ასახსნელია ის მოტივები, რომელთა საშუალებით ესა თუ ის მთავრობა დაეძებს თანამშრომლობას საბჭოებთან; ის კი ცხადია, რომ ასეთ მეგობრობას ასულდგმულებენ მოსაზრებანი ყოველივე პასიფიზმის გარეშე მდგომნი! აშკარაა ისიც, რომ ზოგი სახელმწიფო დაუფარავი სიმპატიით ეპყრობა კომუნისტურ ქვეყანას სხვათა მიბაძვით, ან და მას ამ გეზით ამოქმედებს დიპლომატური თვალთმაქცობა. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მდგომარეობა უფრო ართულებს ატმოსფერას და ისედაც აფორიაქებულსა და აშლილს ომის მომყოლ საერთაშორისო მიმართებს.

ისინი, ვინც ჩახედულნი არიან კომუნისტურ პოლიტიკის ნამდვილ ბუნებაში, ლოდიკურათ მართალნი არიან, როცა ეეჭვებათ, თითქოს აწინდელი აქტით იცვლებოდეს საბჭოების შეხედულება ერთა ლიგის მიმართ, ან მათ საგარეო პოლიტიკაში რაიმე ევოლუცია მომხდარიყოს. საბჭოთა მთავრობა მოწადინებულია გახდეს ერთა ლიგის წევრი თავდაპირველათ იმ აზრით, რომ გაიადვილოს განაარსება იმ პრობლემებისა, რაიცა მის დავალებული აქვს მესამე ინტერნაციონალისაგან.

საბჭოთა საგარეო განზრახვა რჩება, მაშასადამე, უცვლელი: მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია.

ამ უღვთო და უზნეო მთავრობის სისხლიან უღელ ქვეშ უკვე ცამეტი წელიწადია იმყოფება საქართველო, რომლის სუვერენიტეტი ცნობილი იყო არა მხოლოდ დიდი სახელმწიფოების მიერ, არამედ თვით საბჭოებისაგანაც. ამ გრძელ ცამეტი წლის განმავლობაში ქართველი ხალხი ტრაღიკულად იბრძვის, რათა თავის სამშობლოს დაუბრუნოს დაკარგული დამოუკიდებლობა.

თავისი ჯალათობით კომუნისტებმა აიძულეს ქართველები 1924 წელს შეიარაღებულ აჯანყებით გამოსულიყვნენ, რაიცა საქართველოს დაუჯდა ათი ათას საუკეთესო შვილათ.

საქართველოს წარმომადგენელნი აროდეს უშვებდნენ შემთხვევას ეცნობებინათ ევროპის სახელმწიფოებისათვის, რომ ქართველ ერს არა ჰსურს კომუნისტური ექსპერიმენტის ობიექტი იყოს.

ესევე პრინციპები იქნება მცირე ხნის შემდეგ გატარებული პროტესტში, რომელსაც ქართველები წარუდგენენ ერთა ლიგის ყრილობას იმ აზრით, რომ საბჭოთა რუსეთი არ იქმნეს მიღებული ამ ინსტიტუტში უპირობოთ.

მაგრამ ყოველივე ამის გარეშე, თუ საქართველო ვერ შესძლებს ჰპოვოს სახელმწიფოთაგან მის უფლებათა დაცვა მსგავსად იმისა, რასაც უწევენ ავსტრიას, ის იმისი ღირსი მაინც არის, რომ მის მიმართ გამოჩენილ იქმნას ის ყურადღება, რაიცა საარის მცხოვრებთაც არ აკლიათ...»

ს ი ა

იმ პირთა, რომელთა სელი მოაწერეს ადრესს საქართველოს შესახებ (იხ. «დამ. საქ.» № 105).

La Fontaine, ბელგიის სენატის ყოფ. ვიცე-პრეზიდენტი. მშვიდობიანობის საერთაშორისო ბიუროს თავმჯდომარე.
Albert Malche, შვეიცარიის კანტონების საბჭოს (პარლამენტის) დეპუტატი (ქენევა).
Helly Apostolidi, ბერძენ ქალთა ეროვნულ საბჭოს და ათინის ლიცეუმის დელეგატი.
Colonel Vergé, ყოფ. უფროსი ფრანგ. ჩეხთა მისიის რუსეთში (საფრანგ.).
Dr Haberlin, შვეიცარიის სახელმწ. საბჭოს წევრი.
Pietro Sacchi, ვიცე პრეზიდენტი მშვიდობიანობისა და სამართლიანობის საერთაშორისო საზოგადოებისა (მილანო, იტალია).
Leonie La Fontaine, თავმჯდომარე ქალთა ლიგის (ბელგია).
Angelos Sikelianos, დელფიურ მოძრაობის მომწყობი (საბერძნეთი).
Léon Baylet, საფრანგეთის პარლამენტის წევრი.
K. Y. Tseou, ჩინეთი.
W. A. Baumann, ინგლისი.
Maria Valente do Conto Baumann (ბრაზილია).
Emily Vouga (ქენევა).
Hélène Binovitch (ლოკარნო, შვეიცარია).
E. Verner (ლოკარნო).
Peruchini Umberto, ქალაქ ლოკარნოს მდივანი.
Janzo Sakasoff, ბულგარიის ყ. შრომის მინისტრი.
L. Quidde, ნობელის პრემიის ლაურეატი, მშვიდობიანობის საერთაშორისო ბიუროს ვიცე-პრეზიდენტი (გერმანია).
Etienne Schweitzer (საფრანგეთი).
Max Dubert (საფრანგეთი).
S. Zonana (საფრანგეთი).
Dr G. Popovitch, პროფესორი (იუგოსლავია).
S. Quarfood, პროფესორი (შვეცია).
Annie Muriset, ქენევა (შვეიცარია).

Colette Reynaud, რედაქტორი «ქალთა ხმა»-სი საფრანგეთი).

M. Besson, საყოველთაო მშვიდობიანობის სახალხო კავშირი (საფრანგეთი).

Rachele Guidici, ქალთა კავშირი საერთაშორისო თანხმობისთვის (ჟენევა).

Gaspard Vezzoli, მშვიდობიანობის და სამართლიანობის საზოგ. მდივნის ამხანაგი (იტალია).

Bigland, მეგობართა საზოგადოება—კვაკერები (ინგლისი).

Ingvard Nielsen (დანია).

Chr. Erichsen (დანია).

J. M. Sansiaume, ვიცე პრეზიდენ. რესპუბლიკელ კომბატანტების ეროვნულ ფედერაციისა (საფრანგეთი).

Alexandre Paraskevos (საბერძნეთი).

E. Bloch (საფრანგეთი).

A. Bloch (საფრანგეთი).

R. Castaing (საფრანგეთი).

M. Bloch, სკოლის დირექტორი (ალჟირში).

L. Roux, სკოლის დირექტორი, წევრი საბჭოსა «მშვიდობიანობა უფლების გზით», დელეგატი დედათა და აღმზრდელთა ლიგის მშვიდობიანობისათვის (საფრანგეთი).

E. Vuillard, ეროვნულ საბჭოს წევრი (საფრანგ.).

G. Digne, სახალხო კავშირი მშვიდობიანობისთვის (საფრანგეთი).

Capt. Brunskog, დირექტორი საერთაშორისო თანამშრომლობის ინფორმაციისა მშვიდობიანობისათვის (შვეცია).

Fernand Corcos, ვექილი, ადამიანის და მოქალაქის უფლებათა ცენტრალ. კომიტ. წევრი (საფრ).

F. Wenger, ვექილი (შვეიცარია).

Fernand Weil, ვექილი, წევრი ევროპიულ თანამშრომლობის კომიტეტის (საფრანგეთი).

M. J. B. Hugenholtz, პასტორი, დელეგატი ჰოლანდიის ომის საწინაამდეგო ორგანიზაციათა საკონტაქტო კომისიის.

Karl Gull (შვეიცარია).

Ed. E. Plantagenet, თავმჯდომარე პერიოდულ გამოცემათა გამომცემლების დე რედაქტორების კავშირისა (საფრანგეთი).

Louis Favre, ვიცე-პრეზიდ. მშვიდობიანობის საერთაშორისო ბიუროს მუდმივ კომიტეტის (შვეიცარია).

H. Thévenaz (შვეიცარია).

L. Douarche, მთავარი მდივანი განათლების ლიგის პარიზის წრისა.

Jeanne Plantagenet (საფრანგეთი).

J. Prudhommeaux, მთავარი მდივანი საფრანგეთის ფედერაციისა ნაციათა ლიგის დასახმარებლად და საზოგადოებისა «მშვიდობიანობა უფლების გზით».

A. P. Papanastasion, დეპუტატი, საბერძნეთის მთავრობის ყ. თავმჯდომარე, მშვიდობიანობის მეგობართა საბერძნეთის საზოგადოების თავმჯდომარე.

Georges Hedin, არ. ბრიანის საზოგადოება (საფრ.).

Herbert Dunnico, ყ. ვიცე-პრეზიდ. ინგლისის პარლამენტისა.

Ed de Neufville, საპატიო წევრი მშვიდობიანობის საერთაშორისო ბიუროს საბჭოსი.

W. Lypacewicz, ყ. დეპუტატი (პოლონეთი).

Frederiek Libby (შეერთებ. შტატები).

François Rona, ავსტრიის სამშვიდობო საზოგადოებათა კავშირის საპატიო მდივანი.

A. Corcos (საფრანგეთი).

William, Augustin Wilson, საარბიტრო ლიგა (ინგლისი).

William Soder (ჟენევა).

H. J. Neervoortvon de Poll (ჰოლანდია).

H. Golay, მშვიდობიან. საერთაშ. ბიუროს მთავარი მდივანი (შვეიც.).

M. Cartier, მშვიდობიანობის კონგრესის თავმჯდომარე ლოკარნოში (შვეიც.).

Clara Baumann, მთარგმნელი მშვიდობ. კონგრესზე

Dr N. A. Nilsson (შვეცია).

Louis Théyenaz, არქივარიუსი (შვეიცარია).

Ingeborg Sletten (ნორვეგია).

Dr Hans Boller (შვეიცარია).

C. Vasiliu, მთავ. მდივანი რუმინიის დელეგაციისა ბალკანეთის კონფერენციაზე.

Giovani Weber (შვეიცარია).

Rusca, ლოკარნოს სინდიკი (შვეიცარია).

თ ა მ ა ზ ი ა ნ ა

რგ. რობაქიძის სამი რომანი და ნოველების ერთი პატარა კრებული გამოვიდა უკვე გერმანულ ენაზე და საზოგადოების ყურადღებაც საკმაოდ მიიპყრო. მათში ერთი თარგმანია («გველის პერანგი»),—სხვები:—«ქართველი ქალი მეგი», რამდენიმე ნოველლა და «მოკლული სული»—არა,—ყოველ შემთხვევაში მათ ქართული ორიგინალი არ უდევს საფუძვლად. «მოკლული სული» ეხლახან გამოვიდა.—ამ უკანასკნელ თავის ნაწარმოებშიც, როგორც ყოველთვის, გრ. რობაქიძე მეტად აკტუალ, საჭირბოროტო პრობლემას ეხება:—ბოლშევიზმს მთელი მისი შინაარსით.—მან იცის საზოგადოთ თემის გამოძებნა, იცნობს, გრძნობს მკითხველის მოთხოვნილებას და ინტერესს და ამიტომ მის შემოქმედებაში ინტელექტუალი მომენტი სჭარბობს...

ამ შემთხვევაში ეს მომენტი უკან იხევს და მხატვრული იმარჯვებს: მეტად ცხელია ის თემა, რომელსაც ეხება მწერალი... და რადგან გრ. რობაქიძე «მოკლულ სულში» სრულებით თავისუფალია თავის შემოქმედებაში ყოველგვარ ზეგავლენისაგან, რადგან ალებული თემა მას—ქართველ მწერალს—მთელი არსებით იტაცებს, რასაც პერსონალური განცდებიც ხელს უწყობენ,—ის იმარჯვებს, როგორც ხელოვანი და გაქანება მისი, როგორც მხატვრის, ძლიერია.

აქ თვით სისხლიან-ცეცხლიანი სინამდვილე ფალადებს... და რამდენადაც ეს სინამდვილე, უშუალოდ განცდილი, მწერალის სულს უკავშირდება, იმდენად თვით ფორმა,—სიტყვა, თვით დეტალებშიაც კი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნიც «მოკლულ სულში» თვალსაჩინო როლს თამაშობენ, შესამჩნევ დახვეწილობას და ბუნებრივ სითბოს აღწევს... მე არ მინდა აქ გრ. რობაქიძის შემოქმედების მხატვრულ გარჩევა-დაფასებას შეუდგე,—ამას სხვა დროს და სხვა ადგილას შევეცდები... ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს უკანასკნელი რომანი—მართლა ქართველი ხალხის რომანი—მიუხედავად იმისა, რომ მის იდეურ დასკვნებს ვერ დავეთანხმები, ღირსეული მხატვრული ნაწარმოებია, რაც იმავე მასტაბით არ ითქმის გრ. რობაქიძის სხვა ნაწერებზე...

მანამდე, სანამ მწერალი მთელ იმ საშინელებას განიცდიდა, რომელსაც ბოლშევიკური რეჟიმი ჰქვიან, სანამ მისი მხატვრული პიროვნება, შებორკილ-შებოჭილი, იოსებ ჯუღაშვილ-სტალინის და ბერიას «მითითებების», მათი აგენტების კონტროლ ქვეშ იყო და ის, როგორც ქართველი მწერალი, იძულებული ისე ეწერა, როგორც ეს სისხლიან მოსკოვს მოსკოვისათვის უნდოდა (—და ქართველ მწერალს ეს არ უნდოდა—)—მის ნაწერს უფრო მოფიქრებულის, ვიტყვით ნაწვალევის—, ვიდრე ჭეშმარიტად განცდილის ხასიათი ჰქონდა:—ის ეძებდა «მოსახვევ» გზებს, ასეთსავე თემებს, იტანჯებოდა, როგორც ხელოვანი, გრძნობდა თავის მხატვრულ პიროვნებაში გაორებას... აქედან წარმოსდგება ის მთავარი ნაკლი გრ. რობაქიძის წერისა, რომლისაგან არც «მოკლული სული» არის თავისუფალი: ციტატები, სხვისი აზრები, ცნობილი გვარები ხელოვნებასა და მეცნიერებაში ავსებენ მის ნაწარმოებებს, ამძიმებენ მათ... აქედან მხატვრული შეცდომები დიდი ფორმატისა: «გველის პერანგში», «მეგი»-ში, სხვაგან... განსაკუთრებით ერთი—«გველის პერანგში»: არჩიბალდ მეკეში თავის ვინაობას ეძებს, არკვევს,—საქართველოსაკენ გზას იკაფავს, სამშობლოს განცდა უნდა და ის უშველებელი ისტორიული მოვლენა, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ჰქვიან, მისთვის შეუმჩნეველი რჩება,—ქართველი მწერალი უხვევს, იძულებულია აუხვიოს მას... ბოლშევიზმის გ. პ. უ-ს საშინელ კლანჭებში სული ეხუთებოდა და ეხუთება დღესაც ჩვენს საყვარელ, საამაყო ქართულ ლიტერატურას.

«ქართულ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს დუმილი აქვს დაკისრებული. ბოლშევიკებმა თავიანთ ულმობელ მარწუხებში მოაქციეს მხატვრული ლიტერატურა, დაუქვემდებარეს უვიცებს, დააქვეითეს, შეჰკრეს, შეზღუდეს. ვისაც მწერლობა სურს, მან პირველად ქება უნდა ისწავლოს... მან უნდა აქოს ყველა ბოლშევიკი... ამას გარდა, თუ თქვენ წერა გსურთ, ბუნების მიერ მატყუარობის გასაოცარი ნიჭით უნდა იყოთ დაჯილდოებული, რომ სწეროთ იმაზე, რაც არ არსებობს»-ო—სწერს საქართველოდან «ბრძ. ხმას»—კ ა ვ ი.

სული ეხუთებოდა, იტანჯებოდა ქართველი მწერალი გრ. რობაქიძეც,—შეკრული იყო მისი მხატვრული არსება, მისი მხატვრული გაქანების უნარი, მისი—ხელოვანისა და ადამიანის—ღირსება შელახული.

და მოშორდა ქ ა რ თ ვ ე ლ ი საქართველოს დამპყრობელთ, და გამოუცხადა «მოკლული სულით» ბრძოლა მათ, ვინც საქართველოს უკვდავ სულის მოკვლას ლამობდენ...

დიახ, საქართველოს ტრაგედიაზე სწერს თავის რომანში ქართველი მწერალი,—ქართველ ხალხზე, ქართველ ადამიანზე.

და ძლიერია ის აქ, ბუნებრივია მისი გატაცება, ტემპერამენტული მისი სიტყვა, ცრუ პათოსს მოკლებული.

ქართველი ერის გულის მესაიდუმლეს—ქართველ ხელოვანის განცდებს, ჯოჯოხეთში რომ უხდება «მუშაობა», თავისი მხატვრული სახის გამონახვა,—აღწერს მწერალი.

თ ა მ ა ზ ი ჰქვიან მის მთავარ გმირს და მის მიერ ამ საშინელ ტრაგედიის განცდაზე არის აგებული გრ. რობაქიძის ახალი რომანის მთელი შინაარსი—ის არის სული «მოკლული სულისა».

მისი ტანჯვა არის ტანჯვა მრავალთა საქართველოში, მისი ბედი უთვალავია.

თ ა მ ა ზ ი ა ნ ა—არის სახელი იმისა, რასაც დღეს ქართველი, ყოველი შეგნებული ქართველი, განიცდის,—მ ო კ ლ უ ლ ი ს უ ლ ი—მისი ნამდვილი დახასიათებაა.

და მწერალთან ვართ ჩვენ,—გვესმის თამაზის განცდები, მისი სულისკვეთება, მისი უზომო ტანჯვა.

და თუმცა ყველა ვერ გაიგებს,—ვერც გაიგებს და არც მიიღებს იმ დასკვნას, რომელსაც თამაზი აკეთებს,—ზეარსთან უხილავ კავშირით სულიერი კავშირის აღდგენა ადამიანთა შორის პიროვნების სიმშვიდისათვის, კმაყოფილებისათვის—მის სრულყოფისათვის,—მაგრამ ყოველი ქართველი მადლობას ეტყვის გრ. რობაქიძეს იმ ჭეშმარიტად წრფელ გრძნობებისათვის, იმ მართალ სურათისათვის, რომელიც მან თავისი «მოკლული სულით» დაჰხატა...

ქართველი ხალხის გზა—ბრძოლის გზაა, მას არ აუხვევს, სანამ თავის მიზანს არ მიაღწევს... მაგრამ მას დამხმარენი—გულწრფელნი და დარწმუნებულნი—ესაჭიროება...

ერთი უმთავრესი დამხმარეთაგანი—ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ა, ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა დ ა ი ს ე რ თ ა ნ უ ნ დ ა ი ყ ო ს...

თავისი «მოკლული სულით» აქეთკენ მოუწოდებს ქართველ მწერალს—ქართველ ხალხის სულის, ბედის მესაიდუმლეს—გრ. რობაქიძე...

და ამიტომ გასაგებია, როდესაც სტალინ-ბერიას ლიტერატურული «კრიტიკოსი»—ამბობს: «აქ უნდა მივაქციო ყურადღება გრ. რობაქიძის ნაწერებს, რომელნიც გაჟღენთილ არიან რეაქციონურ იდეებით. ეხლა მან საბოლოოდ გასწყვიტა ჩვენთან კავშირი, მოიხსნა თავისი მოღალატური ნიღაბი და გადავიდა გერმანელ ფაშისტების ბანაკში»-ო...

მ. წულუკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი ამერიკიდან

ამერიკის დღევანდელი მდგომარეობა ყურადღებას იპყრობს. უკანასკნელ დღეებში კალიფორნია და სხვა ადგილები საერთო გაფიცვის შესაძლებლობის ლანდებმა ეკონომიური ბაზარი ძირს დასწია. ამერიკა მიექანება ფაშიზმისკენო, ამბობენ ზოგიერთნი. ამერიკა მიექანება ბოლშევიზმისკენო, გაიძახიან მეორენი. პრეზიდენტი რუზველტი მიილტვის დიქტატორობისკენო, ამბობენ მესამენი. ნამდვილად ამერიკა არსად მიექანება. დღევანდელი მთავრობა არ მიიხრება არც მარცხნივ, არც მარჯვნივ. თუმცა ახლანდელი გამოურკვეველი ეკონომიური მდგომარეობა და მთავრობის მოქმედება საბაბს აძლევს უკმაყოფილო მოაზროვნეს, მთავრობას დააბრალოს: რადიკალობა, კონსერვატორობა, დიქტატორობა. მაგრამ მიუდგომელად უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტი რუზველტი ზომიერ გზას ადგია. არავითარი დიქტატორობა მას არ სწამს. პირიქით, ის ცდილობს გააღრმავოს და გაამაგროს ამერიკის დემოკრატიზმი. მის ლიბერალურ მოქმედებას არავითარი მსგავსება არ აქვს არც რადიკალობასთან, არც სოციალისტობასთან. შესაძლებელია მოგწონდეთ, ან არ მოგწონდეთ ამერიკის კონსტიტუცია და მთავრობა; რასაკვირველია, არის კიდევ ალაგი, როგორც ამერიკელები იტყვიან, აქაურ პოლიტიკურ წესწყობილების გაუმჯობესებისთვის, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ყოვლად შეუძლებელია აქ დიქტატორობა—არც მარჯვნიდან და არც მარცხნიდან. ეს ორი უკიდურესი მოვლენები შეიძლება მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც თვითმყრობელობა საუკუნოებით მართავდა სახელმწიფოს და რომლის გავლენა ძალიან ახლო წარსულისაა და ხალხი თვითმართველობას მიჩვეული არაა: რუსეთი, თურქეთი, გერმანია, იტალია და სხვანი. ამერიკის დემოკრატიზმი კი ას სამოცი წლისაა.

ერთ დროს პრესაში დიდი განგაში ატყდა და საქმე ოფიციალურ სენატის კომისიის გამოძიებამდე მივიდა, როცა ერთ ულტრა კონსერვატორმა პრეზიდენტ რუზველტის მრჩეველ კომისიას, ეგრედ წოდებულ «ტვინის ტრესტს» რადიკალობა დასწამა: თითქოს ამ კომისიის ერთს წევრს ეთქვას, რომ პრეზიდენტი რუზველტი კერენსკიაო და ახლა ჩვენ სტალინს დავეძებთო. ამ აზრს სიბრიყვე თავიდან ეტყობოდა, მაგრამ რადგან ინციდენტი პრესაში გაზვიადებული იყო, საქმე კომისიამ გაარჩია და აქ ნათლად გამოირკვა, რომ არავითარი რადიკალობა არსად არ სუფევდა და არავინ არავის დაეძებდა. მთელი ინციდენტი მხოლოდ ჭორი გამოდგა.

ყოფილ პრეზიდენტ ჰუვერის რესპუბლიკანელი ადმინისტრაცია უმოქმედო იყო. 1929 წლის ნოემბერში დაწყებული ეკონომიური კრიზისი მეტად გაღრმავდა და როცა დემოკრატების პარტიის პრეზიდენტმა რუზველტმა 4 მარტს 1933 წელს მართველობა ჩაიბარა, ეკონომიური მდგომარეობა მეტად სერიოზული მოსჩანდა. პრეზიდენტი რუზველტი დიდი ენერგიით და გულწრფელად, თანაც გაბედულად შეუდგა თავის ქვეყნის ეკონომიურ კრიზისიდან გამოყვანას. პირველი წლის განმავლობაში მან გამოიმუშავა გაცილებით მეტი დეკრეტი, უკვე კონგრესის მიერ მიღებული, ვიდრე ეს უქნია რომელსამე პრეზიდენტს მთელი ოთხი წლის ვადაში.

სხვადასხვა ზომებსა შორის, ერთი წლის წინედ, პრეზიდენტმა გამოაქვეყნა ეგრედ წოდებული ნაციონალურ აღორძინების აქტი. ეს აქტი მოითხოვს მინიმუმი ხელფასის დამკვიდრებას და მაქსიმუმი დროს განსაზღვრას, რასაც უნდა გამოეწვია მეტი მუშების დაქირავება და ასე უმუშევართა რიცხვის დაკლება. პრეზიდენტის აქტს სოციალისტური დაუძახეს. განსაკუთრებით რესპუბლიკანების პარტიიდან, მაგრამ დიდი უმრავლესობა მაინც ფიქრობდა, რომ ძნელი ეკონომიური კვანძი გაიხსნაო და ლურჯი არწივის გამოფენა—ეს აღორძინების ემბლემაა განსაკუთრებულად ამისთვის დახატული—დიდ ენტუზიაზმს იწვევდა. ეს არწივი, როგორც ბაირაღი ან ქაღალდზე დაბეჭდილი ნ. რ. ა. (ნაციონალურ რეკონსტრუქციის აქტი) წარწერით ეძლეოდა იმათ, ვინც ამ ახალ «კანონს» ღებულობდა. ყველა ცდილობდა ამ ემბლემის შეძენას, რადგან ხალხის სიმპატია, მთავრობის მოწოდებით, მისი მქონებლისკენ იყო და მყიდველი მასთან მიდიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ერთმა წელიწადმა გაიარა, ამ აქტის სრული დაფასება შეუძლებელია. ცხადია, რამდენიმე მილიონს სამუშაო მისცა, მაგრამ ათ მილიონამდე კიდევ უმუშევრად არის და საერთო მდგომარეობის გაუმჯობესობა ჯერ მისხლობით იზომება.

ამ აქტს თავიდან გამოუჩნდა როგორც მომხრენი ისე მოწინააღმდეგენიც, როგორც დამქირავებელთა ისე მუშათა შორის. წინააღმდეგი იყვნენ თითქმის ყველა დამქირავებელნი, თუმცა მუშებსაც არ აკმაყოფილებდა. მაგრამ ეს იყო პრეზიდენტის აქტი (რომელიც შემდეგ კონგრესმა მოიწონა) და მის მიღებას ბევრი არ გაექცეოდა.

რადგან სხვადასხვა დარგში სხვადასხვა ფასები და სამუშაო დრო იყო და ყველა ერთ ზომას ვერ დაექვემდებარებოდა, დაიწყო ეგრედ წოდებულ კოდების (წესდება) გამომუშავება ყოველ დარგებში ცალცალკე. ყოველი დაწესებულება, ფაბრიკა, ქარხანა, მაღაზია, დუქანი ცალკე «ევაჭრებოდა» თავის მუშას. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ადვილი საქმე არ გამოდგა. დაარსდა ყოველ ქალაქში, დაბაში ურიცხვი კომისიები, რომლების მიერ ირჩეოდა აუარებელი საჩივრები. კოდის მოწინააღმდეგეს ან დამრღვევს ართმევდენ უკვე შეძენილ ლურჯ არწივს და პასუხისგებაში აძლევდენ. დღეს ცოტაოდნათ საერთო სურათი შეიცვალა, საქმე რეგულიარულ სასამართლოში ირჩევა. მთელ ამ აპარატს სათავეში უდგას გენერალი ჰ. ჯონსონი, რომელიც მხოლოდ პრეზიდენტს ემორჩილება. გენერალი ჯონსონი არის უკანასკნელი სანქცია ნ. რ. ა. საქმის მოგვარებისა.

რასაკვირველია, ყოველი მოუწყობელი საქმე მუშათა და დამქირავებელთა შორის ამ აქტს არ ეკუთვნის, მაგალითად, ხელფასის მომატება, სამუშაო დროს დაკლება და სხვა. ამ აქტმა მხოლოდ მინიმუმი აღნიშნა. მაგალითად, მუშას არ უნდა ქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს 14 დოლარზე ნაკლები კვირაში 35 საათის მუშაობისთვის, 15 დოლარი მოსამსახურეებს 40 საათისთვის კვირაში. დანარჩენი საქმე კი საერთო გზით—ან მოლაპარაკებით ან გაფიცვებით გვარდება...

უკანასკნელ დროს გახშირდა გაფიცვები (ზოგიერთების აზრით ეს ნიშნავს საერთო ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას (?)). ყველაზე უფრო გამწვავდა საქმე შვა ივლისს კალიფორნიაში. აქაურ ნავთსადგურებში გემების დამტვირთვლები ვერ შერიგდენ გემების პატრონებთან. მუშები მოითხოვდენ ხელფასის მომატებას—85 სენტის მაგივრად ერთ დოლარს საათში და 1.35 მაგივრად 1.50, თუ დროს გადასცილდებოდა. ამასთან მოითხოვდენ, რომ დასაქირავებელ მუშების ამორჩევა თვით მუშების ხელში უნდა ყოფილიყო. ამაზე გემების პატრონებმა უარი უთხრეს და 9 მაისს დაიწყო გაფიცვა, რომელიც უშედეგოდ შუა ივლისამდე გაგრძელდა. მათ დაუჭირეს მხარი ქალაქ სანფრანცისკოს და მისი მიდამოების სხვადასხვა დარგის მუშებმა და საერთო გაფიცვა გამოცხადდა, თუ გემების დამტვირთვლებს ყავდათ ბევრი თანამგრძნობი და მთავრობის და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების დახმარება მათ მხარეზე იყო, საერთო გაფიცვის გამოცხადებამ, რომელიც დიდს გაჭირვებაში აყენებდა მილიონამდე უბრალო მცხოვრებლებს, ეს თანაგრძნობა და დახმარება დაუკარგა. საერთო გაფიცვას დაეტყო მისი დაწყებისას, რომ ის წაგებული იქნებოდა. ამ დროს გამოირკვა, რომ საერთო გაფიცვის გამოცხადებაში წილი ჰქონდათ კომუნისტურ ელემენტებს, როგორც ეს თვით მათმა ორგანომ «დეილი ვორკერ»-მა კვეხნით განაცხადა. ამ ცნობამ მუშების და კერძო მოქალაქეების მოთმინების ფიალა აავსო და მოხდა, რასაც არც კომუნისტები და არც მართველები არ მოელოდნენ. რადგან კალიფორნიაში (აგრეთვე ბევრ სხვა შტატებში, მაგრამ არა ყველგან) კომუნისტების პარტია აკრძალული არ არის და მთავრობას არ გაეჩინა განსაკუთრებული ორგანო, რომელიც «შინაურ მტერს» ებრძოდეს (პოლიცია მხოლოდ წესიერების დამცველია), შესდგა ეგრედ წოდებული «ვიჯილანტი»-ს (ფხიზელი, არა მძინარე) კლუბის სახელით კერძო არალეგალური რაზმები თვით მუშების და კერძო მოქალაქეებისგან და დაუწყეს რბევა იმ ადგილებს, სადაც კომუნისტები ეგულებოდათ. ამტვრევდენ ავეჯეულობას, წვავდენ ლიტერატურას, იჭერდენ და სცემდენ კომუნისტებს, მერე პოლიციაში მიყავდათ, რომელიც მათ სამართალში აძლევდა.

საერთო გაფიცვა სამ დღესაც არ გაგრძელებულა და თვით გემების დამტვირთველების ორ თვეზე მეტი გაფიცვა კატასტროფიულად და უშედეგოდ გათავდა. ასე სამარცხვინოდ გაუფუჭეს ამ «მეგობრებმა» მუშებს კანონიერი, მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ბრძოლა...

ამ მოვლენის დამოუკიდებლად, 13 ივლისის გაზეთების ცნობით, კონგრესის კომისია შეუდგა მოსკოვის მესამე ინტერნაციონალის ამერიკაში მოქმედების და ლიტვინოვის მოცემულ დაპირების (რომ მოსკოვი შეწყვეტს ამერიკაში პროპაგანდას) დაღლევის შედეგების გარჩევას. კომისიას ქონდა რამდენიმე სხდომა ნიუიორკში, მოწმეებად იყვენ გამოწვეული როგორც კომუნისტები ისე არაკომუნისტები. კომისია აპირებს გამგზავრებას სხვადასხვა დიდ ქალაქებში და შემოდგომას წარუდგენს თავის გამოკვლევას კონგრესს.

თვით კრემლის და ვაშინგტონის დამოკიდებულებას კარგად გვიხატავს დემოკრატების ოფიციოზი «ნიუიორკის ტაიმსი» 23 ივლისის მოწინავე წერილში, სათაურით «ვაჭრობა რუსეთთან».

«რუსეთ-ამერიკის ვაჭრობის მდგომარეობა წაგავს იმ კაცისას, ვისაც მუდამ ლოცავ, მაგრამ არასოდეს არ არის დალოცვილი. უმოწყალო ვიქნებით, რომ გავიხსენოთ ახლა ყველა ვარდისფერ წინასწარმეტყველობანი, რომელიც ჩვენ რუსეთის ცნობის დროს გავაკეთეთ. გაუზომელი დიდი ბაზარი უცბად უნდა გახსნოდა ჩვენს ექსპორტს. მოითხოვნილება ამ საქმისთვის იმდენი უნდა ყოფილიყო, რომ განსაკუთრებული ექსპორტ-იმპორტის ბანკიც კი იყო ამისთვის დაარსებულიო. სენატორები ბორა და ბრუკჰარტი გვიხატავდენ საარაკო მოგებას, რომელიც უნდა მოყოლოდა ჩვენს ვაჭრობას რუსეთთან. ისინი ეხლა არაფერს ამბობენ, როცა რუსეთის ცნობის მერე ჩვენი ექსპორტი თანდათან ეცვმა. რუსეთის მალამოში მუდამ ბუზი იყო (არასოდეს არ იყო წმინდაო). როცა პრეზიდენტი რუზველტი და ლიტვინოვი ხელშეკრულობას ხელს აწერდენ, ორივემ განაცხადეს, რომ სისწრაფით და სასურველად იქნება მოგვარებული ვალის კითხვაო. მაშინ ამ მოგვარებას ცდილობდენ რამდენიმე კვირის განმავლობაში ვაშინგტონში, მაგრამ უშედეგოდ. მერე ეს კითხვა გადაცემული იყო მოსკოვში. საბჭოებმა სცეს დიდება და პატივი ჩვენს ელჩს ბულლიტს და გაუხსნეს მოსკოვში უხარმაზარი საელჩო და საკონსულო და ჩვენები მოემზადენ, რომ დაეწყოთ საქმე ლიტვინოვთან. მაგრამ უკანასკნელს სხვა იდეები ქონდა, თითქოს არ ესმოდა ვაშიგტონის ხელშეკრულება, როგორც ეს ესმოდა პრეზიდენტ რუზველტს...

ახლა გამოცხადდა, რომ მოლაპარაკება გადმოტანილია ისევ ვაშინგტონში რუსეთის ელჩთანო. და აქ კი დაიწყება «მოსამზადებელი მოლაპარაკებანი», მერე ჯერი მივა «პრინციპებზე», «გულწრფელობაზე» და სხვა, სარკაზმით ამბობს გაზეთი და ათავებს: «შეთანხმდებიან იმაზე, რომ გადაიხადონ ნაწილი პროცენტისა ძველი ვალის, მერე იყიდიან რასმე თავის სასარგებლოდ, თუ ჩვენ ფულს ვასესხებთ ამისთვის».

რაც მოგივა დავითაო—ყველა შენი თავითაო.

ნაური.

წერილი ვარშავიდან

15 სექტემბერს ქართველთა კომიტეტმა მოიწვია პოლონეთში მყოფ კავკასიელთა კალონიების წარმომადგენლები 1924 წ. აჯანყების ათი წლის თავის აღსანიშნავად.

კრებას დაესწრენ კავკასიის კალონიის წევრთა დიდი უმრავლესობა—მთიელთა წარმომადგენლის ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემედ გირეი სუნშის და აზერბაიჯანის ბ. მირზა ბალას მეთაურობით, უკრაინელები პოლონეთში უკრაინის კომიტეტის თავმჯდომარის ბ. ნ. კოვალსკის მეთაურობით და პოლონელი მეგობრები.

კრება გახსნა ქართველთა კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. კ. იმნაძემ, რომელმაც პრეზიდიუმში მიიწვია ბ. ბ. მემედ გირეი სუნში, ჟურნალ «ვსხოდ»-ის («აღმოსავლეთი») მთავარი რედაქტორი ბ. ვლ. ბონჩკოვსკი და ბ. მირზა ბალა.

კ. იმნაძე აკეთებს პოლონურ ენაზე სათანადო მოხსენებას ქართველ ერის მიერ დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ თავდადებულ ბრძოლის შესახებ დღიდან ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციისა. ეხება რა ბრძოლის სხვადასხვა ეტაპებს, ის ვრცლად ჩერდება 1924 წლ. აჯანყებაზე და მისი დამარცხების შედეგებზე და ასრულებს თავის სიტყვას შემდეგის დასკვნით:

«1924 წლის აჯანყების დამარცხების ერთი მიზეზთაგანი იყო იმ გარემოება, რომ აჯანყების ცეცხლი არ მოედო მთელ კავკასიას.

ისტორიულათ ცნობილია, რომ კავკასიის რომელმა ერმა არ სცადა საკუთარ ძალებზე დაყრდნობით დიდი მიზნის, თავისუფლების მიღწევა, მარტო ეს ვერ შესძლო.

ეს შეიგნეს კავკასიის ერებმა, როდესაც მათი წარმომადგენლების მიერ დადებულ იქნა პაქტი კავკასიის კონფედერაციისა ქ. ბრიუსელში ამა წლის 14 ივლისს, რომელიც სწორე ასახვაა კავკასიის ერთა საერთო მიზნების, სურვილების და ბრძოლის.

მოსკოვისაგან თავის დაღწევისათვის ბრძოლაში საქართველო მარტო არ არის—მასთანაა და მასთან ერთად თავდადებულათ იბრძვიან კავკასიის სხვა ერებიც, შედეგებული ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში კონფედერაციის სახით. ეს ფაქტი უდიდესი საწინდარია შებრძოლ კავკასიის გამარჯვებისა.

და შემდეგ კავკასიაც არ არის განმარტოებული ამ ბრძოლაში. ჩვენთან ერთად იბრძვიან იმავე იდეებისათვის უკრაინის დიდი ერი, თურქესტანი და მოსკოვის უღლის ქვეშ მგმინავი სხვა ერებიც...»

სიტყვა ეძლევა აზერბაიჯანის წარმომადგენელს ბ. მირზა ბალას, რომელიც თავის სიტყვაში ეხება 1924 წლის აჯანყების წინა ხანის ორგანიზაციულ მუშაობას და იმ ხანათ როგორც წარმომადგენელი აზერბაიჯანის დამოუკ. კომიტეტისა საქართველოში იგონებს განსვენებულ ნოე ხომერიკთან და გ. ფალავასთან საერთო მუშაობისთვის და საერთო გეგმებისთვის წარმოებულ მოლაპარაკებებს და ამბობს: ის რაც დღეს განხორციელდა, ჩასახული იყო კავკასიის ერთა ბოლშევიკების მიერ დაპყრობის პირველ დღიდანვეო, და მოუწოდებს ყველა კავკასიელს, შემოკრებენ პაქტის გარშემო.

სიტყვა ეკუთვნის მთის წარმომადგენელს ბ. ბილატის, რომელიც ვრცელ სიტყვაში ეხება კავკასიის ერთა წარსულ ცხოვრებას დაქართველი ერის 1924 წლის აჯანყების ტრაგიკულათ დამთავრების მიზეზათ ისიც ასახელებს იმ გარემოებას, რომ აჯანყების ცეცხლში არ მოყვა მთელი კავკასია და მოუწოდებს დამსწრეთ საერთო ფრონტის განმტკიცებისათვის.

სიტყვას ამბობს პოლონეთში უკრაინის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ნ. კოვალსკი, რომელიც იგონებს, თუ თვითეული უკრაინელი როგორ გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ქართველი ერის აგვისტოს ბრძოლას, ყოველივე უკრაინელი ემიგრანტი განიცდიდა იმასვე, რასაც ყოველი ქართველი.

სიტყვა ეძლევა პოლონელს ბ. ვ. პელცს, რომელიც ლაპარაკობს ხარბინის «პრომეთეს» სახელით და პიროობას დებს, რომ იქნება პროპაგატორი კავკასიის კონფედერაციის იდეის იქ ხარბინში...

დასასრულ სიტყვას ღებულობს ბ. ნ. ბაგრატიონი, რომელიც ლაპარაკობს ქართველ ახალგაზდათა კავშირის სახელით. ის ამბობს რომ ქართველი ახალგაზდობა მზათაა მთელ ქართველ ერთან ერთად გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი, რაც კი საჭიროა საქართველოს თავისუფლების ბრძოლისთვის.

პრეზიდიუმის სახელით თავმჯდომარეს შემოაქვს წინადადება: მიენდოს პრეზიდიუმს სათანადო დეპეშა გაეგზავნოს საქართველოს ბელადს ნ. ჟორდანიას და კავკასიის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

«ჟურნალ დე ჟენევ.»-ის რედაქტორს ქართველთა კალონიის კომიტეტმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა 18 სექტემბერს:

«ტანჯული ქართველი ერის პატარა ნაწილი—პოლონეთში მყოფ ქართველთა კალონია უძღვნის ბ. რედაქტორს მხურვალე მადლობას ქართული საქმის კეთილშობილი და გაბედული დაცვისთვის, რითაც აღვივებს კულტურულ კაცობრიობის მიძინებულ სინიდისს».

წერილი სოფოდან

მიმდინარე წელს, სოფოში, სადაც კარგათ შეკავშირებული და მოწყობილი ქართველთა ასოციაცია არსებობს და რომლის დიდათ ნაყოფიერ კულტურულ და საზოგადოებრივ მუშაობას ჩვენი პრესა არა იშვიათათ აღნიშნავს,—მოეწყო ფრიად საყურადღებო ლექციები ბ-ნი კ. კანდელაკისა, რომელიც ამ მიზნისათვის სოფოში სპეციალურათ პარიზიდან იყო მიწვეული. ორი მისი ლექცია მსოფლიო სახალხო მეურნეობის განვითარების გზები და საქართველოს ეკონომიური პერსპექტივები—თემის სისრულის გამო, 2 კვირის განმავლობაში, შაბათ-კვირაობით, ხანგრძლივათ იკითხებოდა, რადგან ადგილობრივ ქარხნებში მომუშავე ქართველებს, მხოლოთ აღნიშნულ დღეებში მოეპოვებათ თავისუფალი დრო.

ლექციები იყო მაღალ შინაარსით აღსავსე და მრავალ ახალ წყაროებზე და ფაქტებზე აგებული ნაშრომი, თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების გზათა და მიზეზების ნათელი ასახვა და დაფასება,—განსაკუთრებით საქართველოს ეკონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიური პერსპექტივების სავსებით დამაჯერებელ ფაქტებით წარმოდგენა. მთელი ქართველობა—თითქმის უკლებლივ, განურჩევლათ რწმენისა და პოლიტიკური მიმართულებისა, თავს იყრიდა ლექციების ირგვლივ და დიდის გატაცებით ისმენდა მათ,—რისთვისაც, დასასრულ, ბ-ნ კ. კანდელაკს, ასოციაციის სახელით, დიდი მადლობა შესწირეს...

ბ-ნ კ. კანდელაკის ლექციათა შემდეგ, კალონიის გამგეობამ მოაწყო ლიტერატურული დღე, რომელსაც აქ, სტუმრათ ჩამოსული ბ-ნი გელა-გელაზანია დაესწრო. ბ-ნი ვლ. ბაქრაძე თავის მოკლე და შინაარსიან მოხსენებაში, ემიგრანტულ ლიტერატურაზე, გელას ემიგრანტულ, ჯერ კიდევ დაუბეჭდავ, ნაწერებსაც შეეხო რის შემდეგ, დამსწრეთა თხოვნით, წაიკითხა გელამ თავისი, ჯერ დაუბეჭდავი პოემა: «თეთრი ქანდაკება შავ-დალალებში», და რამდენიმე ლექსი: ორიგინალური და თარგმანი; გაიმართა ლიტერატურული ბაასი ქართულ ლიტერატურაზე საზოგადოთ და, გელას მიერ წაკითხულზე კერძოთ. ბაასში მონაწილეობა მიიღეს ბ. ბ. კ. კანდელაკმა, ვლ. ბაქრაძემ, ჭირაქაძემ, კავსაძემ და სხვებმა. კრებამ დიდხანს გასტანა და ნასიამოვნები საზოგადოება მადლობით დაიშალა.

დამსწრე.

წერილები რედაქციის მიმართ

I.

აკ. ჩხენკელი უღრმეს მადლობას უძღვნის ნაცნობ-მეგობრებს, რომელთაც ინებეს წერილობით თუ სიტყვიერათ თანაგრძნობა გამოეცხადებინათ მისთვის საყვარელ ძმის ლუკას და რძლის ლუბას უდროოთ გარდაცვალების გამო.

II.

მეტად სამწუხარო ამბავი გვაუწყა «დამოუკიდებელმა საქართველომ»:

გარდაცვალება ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის შალვა შარაშიძის; თეირანის ქართველთა კოლონია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს უანგარო მებრძოლის უდროოთ დაკარგვის გამო და უცხადებს ჩვენს თანამემამულე დათიკო შარაშიძეს გულწრფელ თანაგრძნობას მეგობარი-ძმის დაკარგვისთვის.

თეირანის ქარ. კოლონიის მონდობილობით

ი. გ.

III.

დიდათ პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად მოათავსოთ თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოეს ნომერში ქართველ ახალგაზდათა დახმარების მიზნით შემდგარ პარიზის გაერთიანებულ ორგანიზაციათა ანგარიში.

გაერთიანებულ ორგანიზაციათა კომიტეტმა დაიწყო მუშაობა ამა წლის აპრილში და ამ ხნის განმავლობაში (აპრილი, მაისი, ივნისი) შეგროვილ იქმნა დასახმარებელი თანხა და დახარჯულია შემდეგ ნაირად.

შემომწირველთა სია:

ბ.ბ. ელიგულაშვილი—100 ფრ., ანტ. ჟორჟოლიანი 90 ფრ., იოს. სალაყაია 90 ფრ., ს. ასათიანი 50 ფრ., იაკ. ხოჭოლავა 60 ფრ., ილ. დადეშკელიანი 55 ფრ., ევგ. გეგეჭკორი 70 ფრ., ვლ. იმნაძე 10 ფრ., გ. გვაზავა 10 ფ., ვ. ღამბაშიძე 10 ფ., ალ. ასათიანი 10 ფ., ნ. ცინცაძე 150 ფ., დე-სიმონ 50 ფ., ს. სარჯველაძე 10 ფ., ლ. ჩიქოვანი 20 ფ., ალ. ახვლედიანი 10 ფ., კ. კანდელაკი 10 ფ., თენგ. დადეშკელიანი 5 ფ., ნ. დგებუაძე 20 ფ., სტიპენდიანტები 395 ფ., ექვთ. თაყაიშვილი 2 ფრ.

ორგანიზაციებისაგან: ქართველ მხედართა საზოგადოება 150 ფ., ტუბერკულოზის კომიტეტი 100 ფ., ოფისი 450 ფ., წმ. ქეთევანის ძმობა 150 ფ., შევარდენი 60 ფ., დელის-ბალია 100 ფ., ავლაბარი 30 ფ., ახალგაზდათა წრე 50 ფრ.

გაწეული დახმარება:

უფასო სადილებზე—985 ფრ., სამუშაოზე გასაგზავნათ (სამგზავრო) 590 ფრ., ერთდროული დახმარება გაჭირვებულთა 345 ფრ., საქმის საწარმოებლად 300 ფრ.

ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა ვუძღვნათ უღრმესი მადლობა შემომწირველთ, რომელთა წყალობით შესაძლებელი გახდა ამ დახმარების აღმოჩენა შევიწროვებულ ახალგაზდებისათვის.

შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით:

D-r Hambachidzé
11, rue du Chemin Vert. Courbevoie (Seine).

გაერთიანებულ საზოგადოებ. კომიტ. მდივანი

მ. ნიკოლაძე.

შემოწირულება

ჩვენმა რედაქციამ სპარსეთიდან (თეირანი) მიიღო 505 რიალი ვ. ხავთასის მიერ შეგროვილი ტუბერკულოზით დაავადმყოფებულთა დამხმარე საზ. სასარგებლოთ. სია შემომწირველთა:

ვ. თურქია 50 რიალი, გეგენავა 50 რ., გოგი ლაზარაშვილი 20 რ., ეგ. ბარამიძე 5 რ., მისენკო 20 რ., ვ. ხავთასი 50 რ., ბ. წულაძე 20 რ., ზ. ჯავახიშვილი 20 რ., მ. ბალანჩივაძე 10 რ., ელენე წერეთლისა 50 რ., ბაქ. მუშა 50 რ., მერაბიშვილი 50 რ., ზახარი. კარგარეთელის სიძე 50 რ., მიხ. ნიკოლაიშვილი 5 რ., ედ. პავა 5 რ., ბ. საადა 10 რ., მაყაშვილი, მარგო მაყაშვილი 20 რ., ფედრი ქვლივიძე 10 რ., დ. ციხისთავი 10 რ. სულ 505 რიალი.

ახალი წიგნი

ახლო მომავალში გამოვა გელას წიგნი—«ღრუბლიან დღეებში» (ლექსები და პოემები) ვლ. ბაქრაძის კრიტიკული წინასიტყვაობით. გამართულია წინასწარი ხელის მოწერა. წიგნი ეღირება 8 ფრ., ხელის მოწერით კი—6 ფრანკი.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.